

# ლიტერატურული გაზეთი

№1 (233) 18 - 31 იანვარი 2019

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## ნუგზარ ზაზანაშვილი

\*\*\*

მივლინებაში, ივლისში, ცხელი დღის  
შემდეგ, გვიან საღამოს უბერავს  
საამური სიო.

ვზივარ გემოვნებით გაფორმებული  
კაფეს ტერასაზე.  
მსუბუქად ვვახშობ.  
მარჯვნივ — ლუდს წრუპავენ,  
მარცხნივ — ღვინოს.  
გვერდით, ფეხით მოსიარულეთა ქუჩაზე,  
ზევით-ქვევით დასეირნობს უამრავი  
დიდ-პატარა ადამიანი:


საამური  
სიო  
სიცოცხლეს  
ასაამურებს

(ორიგინალური რითმა იქნებოდა:  
სიო საამური — სიასამური, ან —  
ასაამურებს — სიასამურებს,  
მაგრამ ამათი ადგილი ამ ლექსში  
არ არის, თან რამე მსგავსი ვილაცას  
ექნება პირზე მომდგარი ჩემამდე უთუოდ).

და...  
ამ დროს  
ვილაც თავის სანოლში,  
ტკივილისაგან თავმოებურებული,  
უხმოდ უხმობს მიქელს ან გაბრიელს,  
ან ორივეს ერთად...

ამინდის პროგნოზმა —  
ხვალაც სიცხე იქნებაო,  
სიოზე არაფერი თქვა —  
ქარი — კი ბატონო, მაგრამ სიო ეტყობა  
არაპროგნოზირებადია... ჰოდა,  
ხვალაც დაუბეროს სიომ საამურმა  
ნეტავ...

IV-V





ნესტან ეგეტაშვილი

# აია

ამბავი სიყვარულზე

სუთმბაბაძე დილით, თერთმეტს ოცი რომ დააკლდება, მატარებელი ნაძვანარიდან გამოყოფს ხოლმე კვამლში გახვეულ ცხვირს და მზისგულზე ჩერდება. ბაქანზე ხალხი ვაგონებს აწყდება. აია მოშორებით დგას. დროდადრო ფეხის წვერებზე იწევა და უამრავ სახეს შორის ვილაცას ეძებს.

ვაგონები სწრაფად იცლებიან. დამხვედურები ბარგაკიდებულ მგზავრებს ეგებებიან, ეხვევიან, ჩანთებს ართმევენ და ლაპარაკ-ლაპარაკით ტოვებენ სადგურს. აია იღრუბლება. ცრემლებით ევსება თვალები და თავს ხრის, რომ არავინ შეამჩნიოს.

— დღესაც არ ჩამოვიდა შენი სატრფო, აია? — ზურგიდან ონავარი ბიჭების გუნდი წამოიწევა.

— გადამთიელს რატომ ელოდები, მე აქ არა ვარ?

— რა მოსაწონი კი შენა ხარ, — თავზე წამოუტყაპუნებს ერთი მეორე.

ბიჭები სიცილ-ხორხოცით გასცილდებიან თუ არა, ცოცხმომარჯვეული მეეზოვი დაუდგება წინ: „ვაი, შენს დედას, უშუბედუღურს“; ერთს აათვალღიერჩაათვალღიერებს, მეორე კი ოვალურ სარკმელს მიუახლოვდება, დიდი ასოებით რომ აწერია „სალარო“ და ოქროსფერთმიან ქალს გადაულაპარაკებს: „აბა, ამისთანა უწყინარს გიჟი უნდა ერქვას და ჩემს უფროსს, მართლაც ქაჯესა და გადარეულს, ჭკუასრული? არაა ამქვეყნად სამართალი, არა...“ გაბრაზებული ღონივრად მოუსვამს ცოცხს და მტერის ისეთ კორიანტელს დააყენებს, მოლარე მამიწვე მოსცილდება სარკმელს.

ეს თავგზააბნეული სიტყვები აიას არ ეხება, თითქოს მთელი სამყარო გაღმავა, ის კი — გამოღმა. დასევდიანებული ერთხელ კიდევ მოავლებს თვალს დაცარიელებულ ბაქანს და სახლში ბრუნდება.

ბილიკი ნაძვანარი დაიძვინკა.

ტყეს გაივლის და ყვავილებით მოპენტილ მინდორს დაადგება.

შუადღეა. ყვითლად, ძონისფრად, ზურმუხტისფრად ციმციმებს მდელი. შორს აყვავებული ვაშლის ხე მოჩანს. მიუახლოვდება და ხასხასა ბალახზე მოიკეცება. ხის ტანს მიეყრდნობა და ფუტკარდახვეულ მოვარდისფრო ყვავილებს ასცქერის.

ბზუუუ... ბზუუუუ... ზუზუნებენ ფუტკრები.

„იქნებ, საპყრობილეშია... მომიკლეს... ავად გახდა... სხვა ქალი შეუყვარდა...“, ფიქრები ფუტკარივით ეხვევა აიას.

ვინ მოსთვლის, მერამდენე წელიწადია, რაც ყოველ ხუთშაბათს მატარებელს ბაქანზე ხვდება. არც ერთი კვირა არ გაუცდენია. არა აქვს მნიშვნელობა, წვიმაა, ქარია, თოვლია, ჭყაპია თუ პაპანაქება სიცხე.

ერთხელ ავად გახდა. მთელი ღამე ხან სიცივისგან ძაგძაგებდა, ხანაც ოვლად იღვრებოდა საბრალო. დედა არ მოსცილებია მის სასთუმალს, ძმრიან საფენებს ადებდა შუბლზე, გაავრვარებულ ფეხებზე სველ წინდებს აცვამდა. მამობილი ბოლთას სცემდა კერთან, დიდხანს ორჭოფობდა, ბოლოს ვერად გაუძლო გულმა და ექიმთან გააჭენა ცხენი. როცა ექიმი მოვიდა, თხის ქონითა და ათასწარი ბალახ-ბუღაბზე დამზადებული მალამოთი დაუზილა სხეული, მერე მატყლის საბანში შეახვია და დედას დაუბარა, ათ წუთში ერთხელ უცნაური ფერის სითხე დაეღვეინებინა. გამთენიისას აიას აწითლებული სახე მიუხედავად, კანკალმაც უკლო და მშვიდად დაიძინა. „მგონი, გადავრჩით“, ქმარს გადაუჩურჩულა ოსიამ და მთელი ღამის განაწამებს ჩაეძინა.

ხუთშაბათი დღე თენდებოდა და როცა ოსიას გაეღვიძა, აია ლოგინში აღარ დახვდა.

ზამთარი იყო და მეორე დღეს უარესად გახდა. ის ღამე ძლივს გაათია, ოთხჯერ დაზილა ექიმმა თხის ქონზე დამზადებული მალამოთი, თავშეაფასა და კრაზანას



ნაყენსაც ყოველ ხუთ წუთში ასხამდა პირდაფრენილს.

„ჯიუტი, ჯიუტი“, ბრაზმორეული ჩურჩულებდა დედა, თუმცა შვილის საცოდაობით ეთუთქებოდა გული.

მანამდე კი, ერთ ხუთშაბათს, ჩვეულებისამებრ, ბაქანზე ჩამოვარდა მატარებელი. და როცა ბარგაკიდებელი მამაკაცებით, ბავშვებატატებით ქალბები და ხელჯობიანი მოხუცებით სულ მთლად დაიცალა ვაგონები, ახალგაზრდა მამაკაცი გამოჩნდა. ლალად ჩამოხტა მატარებლიდან, შუბლზე თექის პანამა ჩამოიფხატა, მიათვალღიერ-მოათვალღიერა სადგური და ერთი ჩანთის ამარა უკან გაჰყვა მგზავრებს.

არავინ იცოდა, საიდან მოვიდა.

იქვე, სადგურთან ახლოს, აბრაჩამოფხრენილ სასადილოში შევიდა. ერთი კათხა ლუდი შეუკვთა. მერე არხეინად გააბოლა. დახვლიან თავმოყრილი ხმაურიანი გლეხკაცები შეათვალღიერა, სარკმლიდან პირდაუბანულ ბავშვებს უცქირა, გუნდ-გუნდად რომ დარბოდნენ ვინრო ორლობებში და გზა განაგრძო.

ღამის გასათევის ძებნა არ გასჭირვებია. სადგურთან დილიდანვე თავმოყრილმა ბიჭებმა აიას მამობილთან მიაგზავნეს.

სოფლის განაპირას, პანანინა ბორცვზე, ყვავილებით მორთულ მინდორს გასცდებოდი თუ არა, მსხვილ ფიჭვის კოჭებზე შემდგარი ხის სახლი აეშენებინა ბუღუს. წნელის მესერი თ დაუდევრად შემოღობილ ეზოში ერთი პანანინა ქოხიც ედგა — მშობლებისული. უცხო მგზავრებზე იქ აქირავებდა ოთახებს და დამატებით შემოსავალს ასე შოულობდა.

ნიკომ ის ოთახი აირჩია, ხის აივანი რომ ჰქონდა. გამთენიისას, როცა ცაზე მზეც არ იყო ამონვერილი, აივანზე გამოიღოდა, მოღებრტს გაშლიდა და შუბლზე ქუდი ჩამოფხატული დიდხანს ხატავდა უკიდევანო მინდვრებს, ხან გვირილებით გადათერებულს, ხანაც — ლილიფარებით გადაცისფრებულს, ნაძვის წვერებით ტეხილად მორკალულ ბორცვებს, თოვლით დაფარულ მწვერვლებს, ხის სახლებს, გულბურჯული შველებს, ირმებს. მერე — აიას, მის ცისფერ თვალს, ხორბლის თავთავებით ჩანწულ ნანწავებს, ყოლოსფერ ტუჩებს და ჰაერში პეპელასავით აფარფატებულ ნაზ ხელის მტევნებს.

მამინ ჩვიდმეტი წლისა იყო აია. მას მერე, მთის წვერზე თეთრი ყორივარდასავით რომ მოჩანს, აი, იმ ეკლესიაში, ჯვრის დაწერაზე ოცნებობს: მინდორი ყაყარობით რომ დაიფარება, ბალახში გულალმა წვება. წარმოიდგენს, მაღალს, თხელ და ფერმკრთალ ნიკოს დედოფალივით ხელში როგორ აუტაცინია. ფიქრი, სედა, ცეცხლი, უშიშარობა ჩასდგომია ზურმუხტის ტბასავით პირამდე სავსე თვალეში.

მანამდე აიამ არც არაფერი იცოდა სიყვარულზე, მხოლოდ ზღაპრებიდან ჰქონდა გაგებული კომპი ან დევის სახლში გამომწყვდეულ მზეთუნახავებზე, ლამაზი და მამაცი უფლისწულები რომ იხსნიდნენ ხოლმე. მაგრამ დანახა თუ არა ნიკო, ჯერ უცნაურმა ჟრუნტელმა დაუარა მუცელში, გულში, საფეთქლებში, მერე კი ყველაფერი თავდაყირა დადგა: დედამინა ამოტრიალდა და რაც კი გაზაფხულობით მის გულზე ყვავილი ყვაოდა, ყველა ერთად

თავზე ჩამოაყარა. ამ სურნელებამ თავბრუ დაახვია, თვალთ დაუბნელდა, რალაც ჯადოსნური მხამით მოინამლაო თითქოს. გაიცირიცა — არც ჭამდა, არც სვამდა, არც ეძინა. ყველაფერი გადააიწყდა ამქვეყანაზე. ნიკო ის ხიდი იყო, ოცნებების, ყვავილების, მტრედისფერი ქარების, ლურჯი ფასკუნჯების, მაღალი ციხე-კოშკების, ოქროს თევზებისა და ცისფერი ნაკადულების სამყაროში რომ გადაიყვანა.

დილაობით აია საუზმეს უმზადებდა ნიკოს. ოსიას სხვა უამრავი საქმე ჰქონდა და მდგმურებზე ზრუნვა კარგა ხანია ქალიშვილისთვის მიეზარებინა.

ლანგარზე ჯერ თავისი ხელით მოქარგულ ქათქათა ტილოს გადააფარებდა, შემდეგ ცისფერყვავილებიანი ფაიფურის ჭურჭლით აწყობდა ზედ კაკლის მურაბას, ხაჭოს, რძეს, ახლად გამოცხვარ სურნელოვან ფუნთუშებს, ფინჯნით ყავას.

რამდენჯერ გაუწყრა ოსია, შენს სამზითო სერვისს ხელი აღარ ახლოო, მაგრამ აია ვილას უსმენდა?!

მერე დაუყვავა, იფიქრა, იქნებ ტკბილი სიტყვით მაინც გავაგებინო რამე:

— იცი, მამაშენის უჩუმრად რამდენ ხანს ვაგროვებდი მაგისთვის ფულს? შიომ ქალაქიდან სულ ციმციმ ჩამომიტანა, ერთი ბზარიც არ გასჩენია. მერე, რა ღირს! ნამდვილი ფაიფურია! ორი წელიც რომ დარჩეს ეგ მხატვარი ჩვენთან, იმ ფულითაც არ მოვივია.

„ორი წელიც რომ დარჩეს? და მერე, მერე...“, შემოთებული თვალებით უმზერდა აია დედას, განა შეიძლებოდა ერთ დღეს ნიკო უბრალოდ წასულიყო?!

როცა ნიკო სახლში არ იყო, აია მამინევე ცოცხსა და სველ ტლოებს წამოაველებდა ხელს და ქოხისკენ გარბოდა. უყვარდა ნიკოს ციციქნა ოთახის დასუფთავება. იქ ყველაფერი ხიბრდავდა. ჩვეულებრივი ნივთები განსაკუთრებული ეჩვენებოდა. გულისფანცქალით შედიოდა, ფრთხილობდა, იატაკზე მიმოხეული საღებავის ქილებისთვის არ წამოეკრა ფეხი. გულმოდგინედ ათვალღიერებდა სანერ მაგიდაზე დაუდევრად მიმოფანტულ ფურცლებს. თითოეულ ფანქარს, ფუნჯს თითებში ატრიალებდა. წარმოიდგენდა ნიკოს ამ ფუნჯით ხელში და თითქოს მის შეხებას გრძნობდა. მონდომებით კეცდა ოთახში მიყრილ-მოყრილ პერანგებს, სახესთან მიჰქონდა, ხარბად ყნოსავდა, მერე კარადაში აწყობდა კომპინად.

ყველაზე საინტერესო ბოლოსთვის ჰქონდა შემონახული. დაწკრილებდა თუ არა ოთახს, ნახატების დათვალღიერებას იწყებდა. დიდხანს აკვირდებოდა ყაყარობით გადაპენტილ მინდორში აცეკვებულ ქალს, უნახოსფერი თმა რომ გაეშალა და ლალად აექინა ხელები ჰაერში, თითქოს მინის მიზიდულობის დათრგუნვას და ჩიტვით აფრენას ლამობსო. „წუთუ მე ვარ?“, ეკითხებოდა თავს, სარკის წინ დგებოდა, თმას გაიშლიდა. იგივე თვალეში, თმა, ტუჩები, ყელი, კოჭები, ხელის მტევნები, სიფრიფანა ტანი... მაგრამ მოცეკვავეს სულ სხვა ცეცხლი, სილაღე და ეშხი ჰქონდა. აიაც ხვდებოდა ამას, „ჰო, მე ვარ“, ჩურჩულებდა უცნაურად ჟრჟოლაატანინილი, „ოლონდ სხვა აია, ნიკოს აია“.

ახლა მეორე ნახატს გადმოიღებდა: ცისფერთვალა ქალს, ხორბლის თავთავე-

ბივით რომ ჩაენნა თმა, მკერდი გაეღვლა, ხელში ჩვილი ეჭირა, ძუძუს აწოვებდა და თან მზრუნველად დაჰყურებდა პატარას.

ამ ნახატს გულგრილად ვერ უყურებდა, მინა ეცლებოდა ფეხქვეშ, ნიკოს სანოლზე წვებოდა გულალმა და ოცნებობდა.

ერთ დილას აიამ გულმოდგინედ დაანყო ლანგარზე თავისი სამზითვე ჭურჭელი და ქოხისკენ გაეშურა, მაგრამ კართან გველნაკბენივით შეჩერდა — ოთახიდან ქალის ხმა შემოესმა:

— შენთან ერთად სად არ ვიცხოვრებდი — კარავში, მინდორში, ტყე-ღრეში, უდაბნოში...

აია დაიხარა და ფიცარსა და ფიცარს შუა დარჩენილ ღრიჭოში შეიჭყიტა: საწოლზე ინგნენ შიშვლები, ქალს მუქი თმა ნიკოს მხარზე დაეფინა, ლოყა მის მკერდზე დაედო.

— არა, — ერთი დაიკვილა, ლანგარი ხელიდან გაუვარდა, მერე მკვირცხლად გადაახტა ნამცეცხვად ქცეულ ცისფერ ყვავილებს და გარეთ გაავარდა.

ოსია დარწმუნებული იყო, რომ მისი საბრალო ქალიშვილი სახლიდან სერვისის გამო გაიქცა. მთელი დღე ნერვიულობდა, მერე კი, როცა შებინდა და აია მაინც არსად ჩანდა, გამწარებული კედელს ურტყამდა თავს, მე სულელმა ეს რა ჩავიდინე, ფაიფურის ჭურჭლის გამო დავკარგე ერთადერთი შვილიო.

ბუღუ, ნიკო და მეზობლის კაცები დიდხანს ეძებდნენ აიას. ბოლოს გაიყვინე, ნიკო ტბისკენ წავიდა, ბუღუ — ტყეში, მეზობლის კაცებმა კი ახლომხლო მინდვრები დაინანილეს.

რამდენჯერმე შემოუარა ტბას ნავით ნიკომ, უკუნითი სიბნელე იყო და ფარნის შუქზეც არაფერი ჩანდა. ერთხანს შიშიც კი გაუღვივა კუპრივით გაშავებულმა, დაღუმებულმა წყალმა. ბოლოს იმედი გადაეწურა და წასვლა დააპირა, მაგრამ მოჯადოებულივით მიეჯაჭვა ამ უცნაურად გაყურსულ, გუდრონივით გასქელებულ ტბას. სწრაფად და ღონივრად უსვამდა ნიჩბებს, ადგილიდან კი მაინც არ იძვროდა. ბოლოს დანებდა, მოეშვა, იმედი მიეცა, იქნებ მართლაც აქ არისო სადმე აია.

გამთენიისას, როცა ვარდისფრად შეიფაკლა ზეცა, ტბამ გამოიღვიძა, ნახად ააყოლა სიოს ტალღები. თანდათან გაკამკამდა, ვერცხლისფრად დაიწყო ბრწყინალი. ახლა უფრო გაბედულად მიაპობდა ნიკო წყალს, ნაპირ-ნაპირ მიუყვებოდა, თავს არიდებდა ტბისკენ გადმოხრილ შვინდის ტოტებს.

გაზაფხული იყო. განთიადს „ბიჭო გოგას“ ჭიკჭიკით ეგებებოდნენ ახლადგამონასკველ კვირტებში შეყუჟული ჩიტები.

უცებ შედრკა. აყვავებული თხილის ქვეშ ნავი ირწუნდა. მიუახლოვდა თუ არა, რას ხედავს: ივით, ლილილოებით, ფურუსულებით, ყორივარდებით სავსე ნავში წევს აია.

— ოჰ, ღმერთო, — ერთი ამოიძახა აღტაცებულმა და ნავზე ისკუპა, — აია, აია, — მიეჭრა ტირილისაგან თვალბანითლებულ, ენძელების გვირგვინით თავდამშვენებულ გოგოს.

აიამ ნიკო მამინევე იგრძნო, მისი მოახლოებაც იგრძნო და გაიტრუნა, თავი მოიმძინარა.

— როგორ ხარ, აია, აია, — მხრებში





\*\*\*

ბულვარზე ჰაიდგერთან ერთად

ზეთისხილის ხე  
ალვა  
ჩინარი  
კარგიც წინ არი  
ცუდიც წინ არი

ასეა  
რადგან კაცი გზაზეა  
მუდამ გზაზეა  
რადგან ასეა

ასეა რადგან  
ასე წერია  
და რადგან უკან  
არაფერია

\*\*\*

კვალს ტოვებს ყველა  
რაიმე კვალს ყველა ტოვებს

თვალშისაცემს  
მკაფიოს  
ოდნავ შესამჩნევს

სოფლის სულელიც  
და ქალაქიც გიჟიც

ისიც ვინც თითქოს არაფერს ტოვებს  
მანც ტოვებს  
წვიმით და ქარით წარწერანაშლილ  
საფლავის ქვას  
ან თუნდაც ძვლებს მიწაში

და ასე  
მივდივართ და მივდივართ  
კვლავ და კვლავ  
კვალ და კვალ

საზამთროს მურაბა

ბაქოს Shah Palace Hotel-ში  
შევედივარ სასაუზმოდ.  
კარგი საუზმეა, მრავალფეროვანი,  
აღმოსავლური ტკბილი რამე-რუმეებით.  
ტკბილი არ მეჭმევა, მაგრამ მაინც  
ვათვალეირებ.

ვახ! — საზამთროს მურაბა!  
ჩემი საყვარელი საზამთროს მურაბა!  
როგორ მომნატრებია!

მსოფლიოში ყველაზე გემრიელ საზამთროს  
მურაბას მამარჩემის დეიდა, ანიჩკა-ბაბო  
ქმნიდა. ჩვენს სიახლოვეს ცხოვრობდა,  
ვარანცოვზე, ტყვიავის ქუჩაზე.  
მოხუცებული საღამოობით, ძლივძლივობით  
ჩამოქაქანდებოდა ხოლმე ჩვენთან, კოხტად  
ჭალარა-თმა-დავარცხნილი, ოდნავ შეპუდრულ-  
შეპომადებული, არასოდეს — ხელცარიელი,  
რამეს აუცილებლად გამოიყოლებდა,  
მათ შორის — ნათესაობაში ცნობილ  
საზამთროს მურაბას!..

სხვა ბებიდა, დედაჩემის დეიდა, ორდენოსანი  
გეოლოგი ნელი შინდის მურაბით იყო  
სახელგანთქმული, გერმანიაში ნასწავლი  
ინჟინერ-კერამიკოსი მამიდა თამარი —  
ატმის კომპოტით და ა.შ. და მისთ.

საზამთროს მურაბა მაინც სხვაზე მეტად  
მიყვარდა! ჰოდა, როგორ შეიძლება კაცმა  
თავისი ბავშვობის მთავარ სიყვარულს  
ულალატოს?! —

ბლომად ვიღებ ღრმა ჯამში,  
კაი ჩაისაც ვისხამ,  
თვალდახუჭული ვაგემოვნებ  
და...  
ვისხენებ მურაბა-კომპოტების წასულ  
შიდამწარმოებლებს...

69

ბებიაჩემს, ღვთისმოსავ ბარბარეს, ლოტოს  
თამაში უყვარდა... ჩაყოფდა ხელს მწვანე,  
უხეში ნაჭრისგან შეკერილ ტომსიკაში და  
69-იანი კოჭი თუ ამოჰყვებოდა, ქალაქურად  
იტყოდა ხოლმე: „ტუდი-სუდი“, ანუ  
აქეთ-იქეთაო — გადააბრუნებ 69-ა,  
გადმოაბრუნებ — ისევ 69...

ნუგზარ ზაზანაშვილი



მის დროს „69“, ალბათ, გზასთან,  
წასვლა-მოსვლასთან, ან რამე ასეთთან  
ასოცირებდა...

ეჰ, დრონი, დრონი...

\*\*\*

იცვლება დროება  
მაგრამ უცვლელი რამეები  
მაინც უცვლელია  
ამაგრებენ დროებას  
როგორც გასაშრობად გაკიდულ სარეცხს  
„შპილკები“

ერთი ეგეთი უმაგრესი „შპილკაა“  
გმირზე მოთხოვნილება  
ხალხს ყოველთვის სჭირდება გმირი  
გინდაც ბიბლიურ ხანაში  
გინდაც პოსტმოდერნიზმის უამს  
გინდაც სპეტაკი  
გინდაც მამაძალი  
გინდაც ნამდვილი  
გინდაც კომიქსის ფურცლებიდან  
კინოეკრანზე გადამძვრალი  
გინდაც დაეითი  
გინდაც იობი  
გინდაც  
სტალონე — უნიჭო მსახიობი  
სტალონე — საყვარელი მსახიობი

და სანამ ვიქნებით  
გმირიც სულ იქნება  
რადგან  
უცვლელი რამეები უცვლელია  
ამაგრებენ დროებას  
როგორც გასაშრობად გაკიდულ სარეცხს  
„შპილკები“

\*\*\*

თუკი გკითხავს ვინმე ჩემზე,  
რა უყვარდაო ყველაზე მეტად? —  
ასე უპასუხე:

სასმელზე და დროსტარებაზე, წიგნის  
კითხვასა და ლექსის წერაზე მეტად,  
უყვარდა საღამოობით ქალაქების  
პარკებში მარტო ჩამოჯდომა,  
სიგარეტის გაბოლება  
და სახეების თვალეირება, —  
იქ, სადაც ვერავინ ცნობდა,  
ის კი თითქოსდა ცნობდა ყველას,  
ზოგს — მიხვრა-მოხვრითაც კი —  
თქო...

\*\*\*

დილის 5-ზე მესამედ გამელვიდა  
(ასეა ასაკში — ძლივს იძინებ და  
დილამდე რამდენჯერმე დგები  
ამა თუ იმ მიზეზით, უმეტესად —  
მოსაფსამად).

თენდება.  
ტუალეტიდან სამზარეულოში გავდივარ.  
მაცივარში ნაყინი მეგულეა  
და ვერ ვუძლებ ცდუნებას.  
მერე სიგარეტს ვუკიდებ და...  
ღია ფანჯრიდან რეანიმობილის  
გამწარებული, წყვეტილი სირენა  
მოისმის...

ვიღაც კვდება დილის 5-ზე —  
გავიფიქრე.

\*\*\*

გერტრუდა სტიანიდან

დიახ ასეა:  
ვარდი არის ვარდი არის ვარდი  
არის ვარდი  
მარა  
მაგ ოთხიდან ვერც ერთ ვარდს რომ  
ველარ შეხვდები  
ვერც ამ რუს  
ვერც ამ ჩიტს  
ვერც ამ სტრიქონს

\*\*\*

ჩემნაირი ხანშიშესულების ნატვრა

როცა დადგება უამი,  
დაიშრიტება სიტყვა, —  
უცებ მომკალი, ღმერთო,  
ნუ მალოდინებ დიდხანს...

ვერ შევეგუე რიგებს,  
ვერ შევეჩვიე ლოდინს:  
გთხოვ — უცებ...  
რომ ვერც მივხვდე —  
სად ვარ:  
დავრჩი თუ მოვკვდი...

\*\*\*

ბათუმის ბულვარი,  
ვეტერანთა კლუბი

ჭადრაკი  
დომინო  
შაში

სულ არ გვეჩქრება  
სახლში

კარგია  
კარტიც და  
ნარდიც

სიბერე  
თამაში  
გადის

\*\*\*

ასე მითხრეს წიგნებმა:  
იყავიო წყნარად,  
რაც იქნება — იქნება,  
რაც არა და — არა.

იგივე თქვეს ციგნებმა:  
ნუხილიო — კმარა,  
რაც იქნება — იქნება,  
რაც არა და — არა.

ჩვენმა წერეთელმაც ხომ  
ასე დაგვიბარა:  
რაც იქნება — იქნება,  
რაც არა და — არა.

ტიბეტელმა ბრძენებმაც  
დასცეს თავის დასტურით:  
ბოლო-ბოლო ერთიან  
ლჰასაცა და ხაშურიც...

DZINTARS & TUMBA LELE

ბათუმში გაუხსნიათ პარფიუმერიის მაღაზია „ძინტარსი“

ტელევიზორი „რეკორდი“ ჩვენ არ გვქონია: „რეკორდზე“ ცოტათი დიდკრანიანი „ნემანით“ დავინყეთ ტელემაყურებლობა — მე მაშინ მეორე კლასში ვიყავი.

მანამდე კი, მახსოვს, რადიო შევიძინეთ — საბჭოთა ბალტიისპირეთული ტექნოლოგიის უახლესი სიტყვა — Dzintars (რაც ახლა როგორც გავარკვიე — ლატვიურად მამაკაცის სახელიცაა და ქარვასაც ნიშნავს).

მანამდე, ბინაში შემოსასვლელი კარის ზედა კუთხეში, სანყლად ჩამოკონიალებული ადგილობრივი რადიოს დინამიკი გვქონდა... ძინტარსი კი სულ სხვა იყო — სხვა სამყაროდან მოვლენილი — მართლაც ქარვასთან ასოცირებულ ფერებში გაფორმებული, დიდი, ლაკნასმული ხის ყუთი, ავეჯის ერთი-ერთი პერსონაჟის როლსაც რომ ასრულებდა:


შიგთავსის დასაფარად და თან დინამიკების სუნთქვისათვის წინ და გვერდების მრგვალ „ყურებზე“ აკრული, ორიგინალურად გოფირებული, ღია ყავისფერ-მოყვითალო ქსოვილით,

ფირმის სახელის თავზე განლაგებული პატარა ნათურით, მწვანე შუქით რადიოს ჩართულობას რომ ანიშნებდა და რალაცნაირად საიდუმლოდ, იმედიანად ანათებდა ღამ-ღამობით,

პლასტმასის თეთრ-შოკოლადისფერი ტუმბლერებით, ისარი რომ გადაჰყავდათ ტალღიდან ტალღაზე და მსოფლიო ხმაურთან გვაზიარებდნენ,

და არხების გადასართავი „ერთი ოქტავით“ — სულ წინ ლამაზად ჩამწკრივებული შვიდი თეთრი კლავიშით...

აგერ არ არის, ინტერნეტში მისი სურათიც! —



და შემოქმონდა ბინაში ძინტარსს გაუგებარი და მომწუხრებელი უცხო სიტყვები და ჰანგები!..

აბა, ამას როგორ გაუნედა კონკურენციას ან იმდროინდელი ერთ-ორ-არხიანი საბჭოთა ტელევიზია, ან კიდევ გაზეთი, სადაც მხოლოდ სპორტულ ინფორმაციასა და მიცვალებულთა სიას კითხულობდა ხალხი.

ყმანვილის ყურს ხშირად ჩაესმოდა, მაგალითად, Hava Nagila და Tumba lele...

ოო, ეს თუმბა ლელე!.. — „ლპობადი დასავლეთის“ ნარმომადგენელი ბითლის და როლინგ სტოუნსის, საბჭოთა საზოგადოებისათვის მანვე სიმღერებისგან განსხვავებით — სამბის სტილში შექმნილ მარტივ თუმბა ლელეს არ ახშობდნენ და კიდევ გადაიქცა თუმბა ლე ლე საერთო-სახალხო ჰიტად — პლატონის ქუჩის გიჟი, ქურთი ალიკაც კი ღიღინებდა თავისთვის: თუმბა ლე ლე, თუმბა ლე ლე ოლალა...

ალბათ ეს იყო: <https://www.youtube.com/watch?v=QwvGtZ3lh8> ან უფრო ეს, 1966: <https://www.discogs.com/Dario-Moreno-Tumba-Le-Le/release/5817850> მგონი, „რენტგენის ფირფიტაზე“ გამოუშვეს ცალკე...

არაფერი იყოო კარგი იმ დროში... იყო, როგორ არ იყო — თუნდაც ძინტარსი და თუმბა ლე ლე...



დავით რობაქიძე

გატახილი ძილი

ტრიალებს გატეხილი ძილი, რესტავრაციაშია ჯერაც, თიხაში გაურიეს ფხვნილი, ბზარების შესავსებად კირის, ფრაგმენტით შეუხორცდა ჭრილი სამოთხის კერამიკულ მტევანს, დაუძინებელი მტერი ტოვებს ტერაკოტის კერას.

უ ასომ უთხრა, ა ასოს, მაგას აჯობებს, გაავსო.

ე ასომ უთხრა, ო ასოს, ასეა, უნდა მოასწრო, ო ასომ უთხრა, ე ასოს, ყველამ თავისი შეავსო.

ყველამ გახედა, ი ასოს, როგორ გვაგონებ იასო, ი ასომ ღვინო აიღო, და სათითაოდ შეავსო.

როგორ ვისწავლე ცურვა

იმ თამაშს ერქვა მგელობანა, არ ჩანდა მწრთვნილი, ხელის კვრით წყალში გადამაგდეს, დამინდო მგელმა. აზრი არ ჰქონდა ჩაჭრას, ვიდრე ვსწავლობდი ჩემით, ძალღურად მოსმას, ბაყაყურად კუმშვას და ბერვას.

მერე თანდათან შევეჩვიე ოფოფურს, ხარულს, გულაღმა წოლას, ბრუნვით ცურვას, ყვინთვას და მხარულს, მოვირგე ბევრი სახეობის ჩარჩო და როლი, ხან ვინ ჩავეჭერი, ხან ვინ ჩამჭრა, ასეა ომი.

ვისწავლე ხელის აცილება, თამაშის წესებს ვიცავდი, მგლობას გაფურბოდი, ვერიდებოდი, დავტოვე წყალი, ნაპირისკენ გავყევი მწყემსებს, მინაზე მძიმედ გამოსული დიდხანს ვშრებოდი.

და მიყვარს წყალი, ვინც გამრეცხა, ამდენი ჭუჭყი წაიღო ჩემგან, შენიდანაც მალე წაიღებს, რადგან თამაშით დაფარული სიცხადე უწყი, გადაიკითხე კიდევ ერთხელ, თუ ვერ გაიგე.

მწყემსის საათი

ექპარებოდათ, მაგრამ მაინც ელოდნენ ხიდთან, უკანა გზაზე წამოსულებს დაუხვდათ ფარა, გადადიოდა შეფერხებით, უნევედათ დიდხანს დგომა და გრძნობდნენ მოთმინების გავლენის ძალას. ეგონათ, თითქოს იცლებოდა საათი ქვიშის, იხევდნენ უკან, გზას უთმობდნენ ქვიშასაც, ცხვარსაც. არ შორდებოდათ ნაპირიდან წალეკვის შიში, არც მწყემსი ჩანდა ხეობაში იმათგან არსად. იყო საღამო და ვარსკვლავი გამოჩნდა სამი, ჩასხდნენ თავიანთ მანქანებში აანთეს შუქი, ჩამოიცალა უთვალავი წამი და წუთი, ჩამოიცალა უთვალავი წუთი და წამი.

სვეტიცხოველი

არა მხეცთა მივცე მცხეთა, სვეტთა სვეტი ცხოველი, მოდიოდეს, თაყვანს სცემდეს, ოთხი მხრიდან ყოველი. შვიდი ცა და შვიდი სული, კოსკის შვიდი სართული, ცისქვეშეთი, მზისქვეშეთი, ივერიით ქართულით.

ჭმუნვის ხესთან

ზურგით ჭმუნვის ხეს ვეყრდნობი, მალლა ვარჯის ნახევარ გუმბათიდან დამციმციმებს ყველგან მყოფი სახელად, ცა ქართლელთა, იმერელთა, მეგრელთა და კახელთა, სვანთა, მესხთა, აჭარელთა, აფხაზთა, ჯავახელთა, ცა გურულთა და რაჭველთა, ფხოველთა და კლარჯულთა, ბოტანიკურ ბაღში ვზივარ, თუმცა არ ჩანს აქედან ჰიმალაი, მაგრამ ეს ხე იქაურიც მამშვიდებს, ჭმუნვამ თავი შემახსენა, ჭკუაც ისევ თავში დევს.

ხომწების ღაჟა

ა ასომ უთხრა, უ ასოს, მე თქვენ გასწავლით ჭკუასო,

თიაზულო

საძიებელში მითითებულ, რა დიდებული ჩანხარ, თებულო, ბროლის ცისაგან განათებულ, შეუშფოთებლად შემართებულ, რად იქნებოდა უმართებულო, გადამხდენოდი თავსაც, თებულო, მთაო, მთიებზე გამონთებულო, თავმდაბალო და აღმატებულო.

პროზა

მარჯვნივ თონე, მარცხნივ ქვევრი, გამიგონე, არ ვართ ბევრი, მარცხნივ ქვევრი, მარჯვნივ თონე, მოტრიალდი, გამაგონე. ნაღმა ბრუნე, მალლა ბრუნე, თიხის ლენტი, ნედლი ჭური, სამთვარიოს! ქურა ცხელი, კეცის კაცი, დოქის ყელი. ჭინჭიპურა, ქოთნის ყური, დერგი მოინგლისებულო<sup>2</sup>, ჭინჭილა და ჩაფის ძირი, კრამიტი და კოკის პირი. სოხანეზე დედაბოძის ხელგაშლილი ჩუმი ცეკვა, კაბამოჩუქურთმებული ხიდან სიბრძნის ამოკვეთა. მალლა მზე და დაბლა მთვარე, ჩრდილისა და სხივის კუთხე, უკვე შენით გამოთვალე, ცოტა თავიც შეინუხე. მუხამ ჯვარი დაინერა, ცაცხვი იყო პატარძალი, ცაში სხივი აინვერა, აღდგა სული ნატარძალი. მარჯვნივ თონე, მარცხნივ ქვევრი, გამიგონე, არ ვართ ბევრი.

<sup>1</sup> სამთვარიო — სარკმელი ჭურჭლის გამოსანავე ქურაში. <sup>2</sup> მოინგლისება — ჭურჭლის მოსახატი საღებავის ერთ-ერთი სახეობა.

მწერის მარშრუტი

ზემო ბეთლემის მონასტრიდან დავდივარ ფეხით, მიძინების ჩიხს ჩამოვივლი ბეთლემის ქუჩით, პურის მოედანს გადავკვეთ და ჯვრის მამის გვერდით, იერუსალიმზე შევჩერდები ორიოდ წუთით. სინაგოგასთან გადავდივარ სიონის მხარეს, მეტეხის ხიდით მივსერიწობ აღმართზე ღვინის, ვუახლოვდები ელიაზე სამების არეს, სამხრეთში ვტოვებ მტკვარგადაღმა შეფენილ თბილისს. შევდივარ ფრთხილად ფუტკრით სავსე მშვენიერ სკაში, ვაბარებ დინდგელს, ყვავილების მტვერსა და ჭაოს, ფუტკრების ოქმი გამოზრძანდა კარიდან კარში, მისია-მუშა უბრუნდება საერო ჭაობს. ლოტოსზე უნდა მოვერიდო ბაყაყის ენას, უმჯობესია მოვავროვო ცაცხვი და ნაბლი, აღფრთოვანება დავივიწყო, უბრალოდ ფრენა, წინ ზამთარია, მაგიდაზე — უჯრები თაფლის.

მოდანს ნასვამი იყო, ირწოდა, თითქოს ბევრი რამის თქმა სურდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, გიყურებდა თავისი ცისფერი თვალებით, გამომცდელი მზერით; მერე მოულოდნელად გაიცივნებდა... რალაც არ ასვენებდა, რალაც ღრწინდა შიგნიდან. „რა ვქნათ, სად წავიდეთ?“ — შეგეკითხებოდა, ოღონდ პასუხს აღარ ელოდა... ასეთი ამოიზიდება ჩემს მახსოვრობაში თამაზ ბაძალუას სახე, ხალისიანიც და ნაღვლიანიც, გულდანყვეტილი, ზოგჯერ ოდნავ ირონიულიც, ოღონდ ეს ირონიაც ბავშვური იყო, წამიერი, არამკვიდრი და არცთუ მისი არსების სიღრმიდან მომდინარე.

მას უფრო ორი უკიდურესი პოლუსი ახასიათებდა: ალტაცება ან, პირიქით, გულგატეხილობა, ამაოების შეგრძნება; აქ ირონიას არ ჰქონდა ადგილი. თითქოს ამა თუ იმ ცხოვრებისეულმა შემთხვევამ ანდა მისგან აღძრულმა შთაბეჭდილებამ კიდევ ერთხელ შეამღვრია მისი არსება, კიდევ ერთხელ შეატოკა ის ნერვი, რომელიც ამაოების შეგრძნებას აღუძრავდა. პაულ ცელანს უწერია: „პოეზია არის მუდმივი, უსასარულო საუბარი წარმავლობაზე და ამაოებათა ამაოებაზე“. კარგი ნათქვამია. ესე იგი, პოეზია სიბრძნისმეტყველებაა, სიბრძნის დარგია, ეკლესიასტია. ნამდვილი პოეტიც ის არის, ვინც ამაოებას ეზიარება.

ოცდაათი წელი გავიდა მას აქეთ, რაც თამაზ ბაძალუა დაიღუპა, ჩემს წარმოდგენაში აღბეჭდილი მისი სახე კი უცვლელი დარჩა. ამ სახემ სიზმრებში გადაინაცვლა; თითქოს რეალობისთვის შეუთავსებელი იყო, წარმოდგენაში გადაინაცვლა, იქიდან კი სიზმრებს შეერია. თამაზი ოცდარვა წლისა წავიდა ამქვეყნიდან. წელს მას სამოცი წელი უნდა შესრულებოდა. დრო გავიდა, საკმაოდ დიდი დრო. ქვეყანაში ჯერ ქვების გაფანტვის ფაზი დადგა და მერე ქვეათა შეგრძობისა. განვალებული ადამიანების პროცესია დღესაც ისევე ისე მიაბიჯებს ზამთრიდან ზაფხულისაკენ და ზაფხულიდან ზამთრისაკენ, შემობრუნდა ავანსცენა, შეიცვალა დეკორაცია, თამაზის სახე კი უცვლელი დარჩა ჩემს წარმოდგენაში.

რა იყო წვენი სიჭაბუქე? ეს იყო პერიოდი, როცა ძველი იდეალი, ძველი ღირებულებები უკვე ძალაგამოცლილი და დაწვრილია, ახალი კი ჯერ არ ჩანს. არც გამორჩენილია, რადგან მეოცე საუკუნის დასასრული და მასთან ერთად გრანდიოზული ნგრევის ფაზი ახლოვდებოდა. ჰაერში ქარიშხლების წინ ჩამომოდგარი ავისმომასწავლებელი დუმული სუფევდა. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ირგვლივ გაურკვევლობის ბაცლია ტრიალებდა და წელს წამოვავდა სივრცეს. ეს ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში იგრძნობოდა. 87 წელს კი თამაზ ბაძალუა ავტოკატასტროფაში დაიღუპა...

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. თამაზის მეგობრები მარტვილისკენ მივემართებოდით მანქანით. უკვე უთქმელად ვართ შეთანხმებული, რომ რაიმე უნდა შევმატოთ მის მემკვიდრეობას. ამჯერად პიესების მეორე კრებული გამოიცა და ეს ახალი ნივთები მიგვაქვს მარტვილში. უცნაურია, ამაზე არც კი ვსაუბრობთ, თითქოს ეს თავისთავად მოხდა. თამაზის ცხოვრება და ბედისწერა უკვე ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამიტომაც ამაზე არ ვსაუბრობთ. მხოლოდ მაშინ ჩამოვგვადებთ სიტყვას, როცა ამ თემასთან საზიარო რომელიმე დეტალი ამოტივტივდება მესხურებაში.

უცნაურია დროის დინება, მდინარესავითაა — მოაქვს მძიმე ქვები, მძიმე მოგონებები, უფრო და უსახო ცხოვრების მასა, ყველაფერი მოაქვს, მერე რალაცას გამოირიყავს, რალაცას კი უკვალოდ ჩაძირავს. იქმნება ილუზია, რომ ძლიერი დინება ყველაფერს თავ-თავის ადგილს მიუჩენს, რეალურად კი ასე არ არის. ბევრი რამეა გადასარჩენი, ხელჩასავლები, დინებას გამოაგლეჯი.

ერთი დეტალი მახსენდება. მე და თამაზი გაგრძობი ვისვენებდით, მერე კი იქიდან სოხუმში წავიდით. იქ, ქალაქის გარეუბანში, რომელსაც ბესლეთი ჰქვია, თამაზის მეუღლის ნატოს მშობლები ცხოვრობდნენ. ნატოც იქ იყო პატარა თუთასთან ერთად (მძიმე წარმოსადგენია, რომ იმ საბედისწერო დღეს ვერცერთი მათგანი ვერ გადარჩა). კარგად გვიმასპინძლეს, თუმცა რა მასპინძლობა ეთქმოდა, თამაზი შინაური იყო და, ცხადია, ისე მიგვიღეს, როგორც შინაურები. 1985 წელი იდგა და

აი, სწორედ მაშინ წამიკითხა თამაზმა რენესანსის ეპოქის გენიალური პოეტის ტორკვატო ტასოს დრამა-პასტორალი „ამინტა“. თარგმანი უკვე გაესრულებინა და ცალკეულ ფრაგმენტებს ხვეწდა. მახსოვს, ორი თუ სამი დღე შემოვრჩით ბესლეთში, წვიმიანი დღეები იყო, ვერანაირად ვისხედით და ვსაუბრობდით. თარგმანი, ცხადია, მოწონებდა იმსახურებდა და იმთავითვე ჩანდა, რომ ეს რთული სამუშაო ერთი ხელის მოსმით არ იყო შესრულებული. თამაზი ზომიერი რიტმით, აშკარად შთაგონების კარნახით იკვლევდა გზას ათასგვარ ენობრივ ლაბირინთში. იტალიური ენის გაკვეთილებს ესწრებოდა მთარგმნელობით კოლეგიაში, იქ, სადაც ერთად ვმუშაობდით. ალბათ რთული ფრაგმენტების პნკარედული შესატყვისიც გააჩნდა და იმასაც იშველიებდა. რატომღაც ყოველივე ამით მაშინ არ დავიტერ-

ანდრო ბუაჩიძე

ოცდაათი წლის შედეგ

ესებულვარ, ჯერ ხომ საქმე ბოლომდე არც იყო გასრულებული. ისე კი, მჯეროდა, რადგან თამაზმა იტალიური ენის შესწავლას მოჰკიდა ხელი და რამდენიმე წლის მანძილზე უფლებივით, შედეგიც სასურველი იქნებოდა. ბიჭვინთაში, მწერალთა სახლში, რილკეს ვთარგმნიდით და თავისი მრავალმხრივი ნიჭის წყალობით თამაზი გერმანული ენის თავისებურ ცოდნას ამჟღავნებდა. სწავლა რომ განეგრძო, დარწმუნებული ვარ, გერმანულ ენასაც ხეირიანად დაეუფლებოდა. როგორც ჩანს, იოლად ითვისებდა უცხო ენას, მაგრამ თავის მღელვარე და მოუსვენარ ცხოვრებაში საგანგებოდ ამისთვის დრო არ დაუთმოა. იტალიურ ენას კი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, გულმოდგინედ სწავლობდა. უკვე თარგმნილი ჰქონდა XX საუკუნის იტალიელი პოეტები: ჯუზეპე უნგარეტი, სალვადორე ქვაზიომოდი, პიერ პაულო პაზოლინი, ეუფენიო მონტალე, მარინო ლუცი და სხვები და აი, ახლა ტორკვატო ტასოს „ამინტა“! ფრაგმენტები წამიკითხა, მომენონა. ეს იყო და ეს. ვიცოდი, რომ ქართულად აქედნეული ეს ნაწარმოები უკვე არსებობდა.

გავიდა დრო... უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა თამაზის დაღუპვიდან წლები იყო გასული, შემთხვევით შევიარე გაუქმებულ მთარგმნელობითი კოლეგიის შენობაში. იქ ერთ, ძველი სკივრით გაცვეთილ, ნამუსრევით საესე ოთახში ყოფილი თანამშრომლები იყრიდნენ თავს ჭადრაკის სათამაშოდ. ჭადრაკის დავას რომ ააყირავებდნენ, მის ადგილს შავი პური, ძხვეფული და არყის ბოთლი იჭერდა. ისდენ და საუბრობდნენ. ოთახის ერთ კუთხეში ძველი საქალაქდებები ენყო და როგორღაც ამ საქალაქდების ქექვისას წავანყვიდნენ ფანქარი გაკეთებულ ნარწერას: „ტორკვატო ტასო-ამინტა“. წუთით არ შემპარვია ეჭვი, რომ თამაზის ეს თარგმანი ერთადერთი ვგზემპლარი არ იყო და სადღაც, თუნდაც მის ოჯახში დაცულ არქივში ინახებოდა ამ პასტორალის რემინგტონზე ნაბეჭდი ცალკე, მაგრამ, ვაითუ, სხვაგან აღარსად იყოს-მეთქი, ვიფიქრე და თარგმანი შინ წამოვიღე. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ქართული ტექსტი სხვაგან არსად იპოვებოდა და მისი დაკარგვა მართლაც სერიოზული დანაკლისი იქნებოდა. ვინ იცის, იქნებ არც დაკარგულიყო — მაინც წამოვიღე.

ეს თარგმანი დიდხანს ინახებოდა ჩემს უჯრაში. არაერთხელ გადამიფურცლავს და წამიკითხავს. ვგრძნობდი, რომ „ამინტა“ გამოირჩეოდა თამაზის სხვა თარგმანებისგან. აქ მისმა პოეტურმა ნიჭმა და ოსტატობამ სრულიად გამორჩეული ასპარეზი ჰპოვა. არაერთხელ შევთავაზე ლიტერატურული ჟურნალების რედაქტორებს ამ ნაწარმის გამოქვეყნებას, მაგრამ მოცულობის გამო ერთ რომელიმე ნომერში მისი ჩატევა არ ხერხდებოდა. და აი, ახლახან გამოქვეყნდა პასტორალი ფართოფორმატიან ჟურნალ „საგურამოში“ და ჩემთვის კიდევ ერთხელ შეიქნა ცხადი, რომ ეს თარგმანი რიგითი ლიტერატურული ფაქტი არ იყო. გამოქვეყნება ხომ თვალნათლივ წარმოაჩენს ნაწარმოებს.

მარტვილში ჩავდივართ. თითქმის მღუმარე შეხვედრის ცერემონიალის შემდეგ



მანქანებით სასაფლაოსკენ მივემართებთ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს მხარე, თვით ეს სასაფლაო უფრო უდაბური და უკაცრიელი გახდა. ცხადია, ასე არ არის, მაგრამ ხანგრძლივი სიარულის შემდეგ სადღაც ვჩერდებით და ეს უდაბური ადგილი ამას მაფიქრებინებს. აქ ხომ რამდენჯერმე ვარ წამყოფი და აქაურობა მაინც უცხოა და უცნობი...

მასხოვს, ერთხელ მე და თამაზი მარტვილში გვიან ღამით ჩავედით. ნახუნაოსკენ ფეხით შევუყევით გზას. გზა ალაგ-ალაგ წყვილია იკარგებოდა. ვჩქარობდით, მაგრამ არსად არ გვეჩქარებოდა. თამაზს შინ დაბრუნების მღელვარება დაეუფლა. ერთად ვიყავით, მაგრამ თითქმის უკანმოუხედავად მიდიოდა. ეს მღელვარება მხოლოდ მასპინძლი ფორიაქით არ იყო გამოწვეული; დარწმუნებული ვარ, ქალაქიდან მარტოდმარტო შინ მიბრუნებულსაც იგივე გრძობა ეუფლებოდა, როცა მწუხრში ან სრულ სიბნელეში ფეხით აუყვებოდა იმავე გზას. უკაცრიელ გზაზე ნოტიო ტყის სუნი იგრძნობოდა, ხეების შრიალში კი ძველისძველი, ბავშვობისდროინდელი ჩქამი გამოსჭვიოდა. ეს ხმა მეც არაერთხელ მსმენია და, ეტყობა, თამაზსაც იგივე ბგერა ჩაცემოდა, რადგან უჩვეულოდ დედავდა და მოუსვენრად განაგრძობდა სიარულს. თამაზი გრძნობდა, რომ ამ განურჩეველი წყვილის მიღმა, იქვე სულ ახლოს იყო ჭიშკარი, ვრცელი ეზო და განათებული ოდა-სახლი, სადაც დედა და მამა მოელოდნენ. და ის დედავდა, ჩქარობდა და მართალიც იყო, რადგან მას აქეთ არცთუ ისე დიდი დროა გასული, მაგრამ ამ სახლში საღამოობით სინათლე აღარ ანთია, კარი ჩარაზულია (თამაზის დები მარტვილში გადასახლდნენ), იქ აღარც დედაა, აღარც მამა და თვითონ თამაზიც აღარ მიიჩქარის თავის სახლისკენ, საიდანაც დაიწყო მისი ხანმოკლე ცხოვრების გზა.

ქვაზე აღბეჭდილ თამაზის სახეს დრომ თითქოს თავისი სიფერმკრთალე დაატყო. გადაიარეს ზამთრებმა, ზაფხულებმა, ნვიმებმა, ქარებმა და ოდნავ უცვალეს საფლავს ელფერი. ეს ოდნავი ცვლილება შესამჩნევია, ოდნავია, მაგრამ ადამიანის ხანმოკლე ცხოვრებისთვის მრავლისმომცველი; ოდნავია ისტორიისთვის, თუმცა ისტორიაშიც, ქვეყანაშიც მრავალი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე, ბევრი სისხელი დაიღვარა, ბევრი კვალიც ნაიშალა, მრავალი ფაქტორი გაუქმდა...

ძველ რომაელებს უთქვამთ, მრავალი რამ იცვლება, მაგრამ არაფერი ისპობაო. მართლაც ასეა: თამაზის სახე უცვლელი დარჩა ჩემს წარმოდგენაში, აქაურობა კი შეიცვალა. დროც და სასაფლაოც ჩარჩოში აქცევს ნასულ ადამიანს, ახლობელთა წარმოდგენაში კი კვლავ ცოცხლობს, მოძრაობს, სახეს იცვლის, თავის დაფარულ თვისებებსაც კი ამჟღავნებს — მრავალი რამ იცვლება და არაფერი იკარგება. ასეა.

შესანდობარს ვსვამთ. ახლავ ვატყობ, რომ თამაზის ახლობლებთან ერთად გარშემო ჩემთვის საესებით უცხო ადამიანები ტრიალებენ. ადრე ისინი არასდროს მინახავს. მის ხსოვნას სხვა ადამიანთა წრე შემოემატა — ენერგიულად მოძრაობენ,

ღვინის ბოთლებს და ჭიქებს აწყობენ ქვის მაგიდაზე. ერთხანს იქვე ვრჩებით და მერე კი ნახუნაოს სახლისკენ მივდივართ, იმ სახლისკენ, სადაც თამაზი დაიბადა და გაიზარდა.

\*\*\*  
იმ საბედისწერო ტრაგედიის დღეებში ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე თამაზისადმი მიძღვნილი გამოსათხოვარი წერილი და მისი ლექსები დაიბეჭდა. ეს გამოუქვეყნებელი ლექსები იყო და მანამდე არ მქონდა ნაკითხული. და აი ამოვიკითხე სრულიად ახალი რამ — ვერძენი, როგორ იპოვა ბოლო წლებში თამაზმა თავისი ხმა. ეს ხმა ვიბრირებდა, სხვადასხვანაირი იყო; ზოგჯერ მძაფრი და მინორული, ზოგჯერ კი ლირიკულ-ხვედროვანი, მოლივლივი, მარადისობაში გაღწევის პერსპექტივით ნიშანდებული:

ბებერო ცაცხვო,  
გაზაფხულზე მეც ვყვავილობ  
შენს ხმელ ტოტებთან,  
მეც ქარებში ვდგავარ ღიმილით  
და თავსხმა წვიმა აუხდენელ  
სიზმრებს მისველებს,  
მეც მაკითხავენ გაზაფხულზე  
შენი ფუტკრები,

რომ გადახსნილი ყვავილებიდან  
კრილა შხამი ამოსწოვონ  
და ნელ-ნელა თავლად აქციონ.  
ბებერო ცაცხვო,  
მეც დამფარა ყვითელმა ხავსმა,  
და ჩემი ქერქიც გაიფლნითა  
სიკვდილის წყლებით,

ბებერო ცაცხვო,  
გაზაფხულზე მეც ვყვავილობ  
შენს ხმელ ტოტებთან,  
ხელაპყრობილი განითლებულ  
ვარსკვლავებს ვუმზერ  
და წყნარად, წყნარად მეც ვმალდები  
დაკარგული სიხარულისკენ.

ამ ლექსებში თამაზის მშობლებისეული პატარა ოდა-სახლის გარემომცველი პეიზაჟია ჩანერილი. აქ არ არის კონკრეტული, არის სივრცე, დროის მიჯნების გადალახვა, ხანიერება, განთავისუფლება ყოფითობისგან, ყოველდღიურობისგან. ეს სიტყვები იმ კაცის წარმოთქმულია, ვისაც სიკვდილის მოლოდინი ადამიანური ტანჯვისგან, ვნებებისგან ათავისუფლებს და შვებას ჰპოვებს, მარადისობის წარმოსახულ სივრცეში გადაჰყავს: „და წყნარად, წყნარად მეც ვმალდები დაკარგული სიხარულისკენ.“ ამ ლექსის ლირიკული გმირი სხვა განზომილებაში იმყოფება, „სიკვდილის წყლებით“ არის გაუფლნთილი, სიციცხლესა და სიკვდილს შორის არსებულ სივრცეში დგას და მისი საუბრის ინტონაციაც იმიტომ არის განსხვავებული — ამქვეყნიურიცაა და, ამავე დროს, არაამქვეყნიურიც. ამ ციკლის ლექსები რილკეს „ღუინური ელევების“ მსგავსად თითქოს ამქვეყნიურის და იმქვეყნიურის შეერთების ცდაა. ამ ლექსებში სიციცხლის მძაფრი შეგრძნებაცაა და სიკვდილისაც; თითქოს ერთი გადაედინება მეორეში და ეს შეხვედრა თუ შენაცვლება ადამიანში ხდება. ადამიანში მიმდინარეობს ორი სხვადასხვა ურთიერთგამსჭვალავი საწყისის ფარული მორიგების პროცესი:

როგორ გაუძლებ ამდენ შეცდომას,  
ძველი წვიმების სიმკვრივეს  
შენს ნაფეხურებში,  
ვნების დამქანცავ იძულებას  
როგორ გაუძლებ,  
როგორ გაუძლებ სიკვდილის სუნს  
მითელი სიციცხლე...  
რომ თან იმღერო, თან ნიჩაბი  
გეჭირის ხელში...

თამაზი ორი შეურიგებელი საწყისის მორიგებას ცდილობს, ვინაიდან ადამიანის სიციცხლე იმთავითვე, დაბადებითვე გულისხმობს სიკვდილს, მაგრამ რაც უფრო უღრმავდება ლირიკული სუბიექტი ამ აზრს და რაც უფრო მეტად ცდილობს მასთან შერიგებას, მით უფრო მეტი მღელვარება, შეურიგებლობა, განხეთქილება, დრამატიზმი იჩენს თავს. არადა, ლექსის ინტონაცია შემრიგებლურია, სინანულნარევი, მოჩვენებითი ჰარმონიის დამამკვიდრებელი; მოჩვენებითია იმიტომ, რომ აუმღვრეველ პეიზაჟს, ფერადოვნებით აღბეჭდილ ბუნების სურათს მოულოდნელად მკვეთრი დისონანსი, ერთი მძაფრი ფრაზა გასერავს:

მე კი რა მიჭირს,  
ძველ ჭალაში ვავისიერებ,  
ძველი მდინარის ტალღებს ჩავხედავ  
ბავშვით წყნარად და უდარდელად





**ამ დროს იბადება ლექსი**

*ზეინაბ მეტრეველს*

ცაზე მონყვეტ შედარებას, —  
ცისკიდურზე მეტაფორას,  
სიტყვა ხდება ნეტარება,  
პოეზია ნექტარს თქორავს...

ამ დროს ლექსი იბადება,  
სიცოცხლედ რომ ეღირება,  
იქ აკაკი იბადრება,  
გალაკტიონს ეღიმება...

**აუხდენელი სურვილი**

მოისურვილე უეცრად ვაშლი,  
ვით იანვარში ბებომ ატამი,  
ვერ მოგართვი და დაგირჩი ვალში,  
უნიათო და ბრიყვი ადამი...

ბევრჯერ მოგვიხდა ღამეთა თევა,  
ბევრჯერ ვცოდე და რატომ მაქე მე,  
ვაშლი რა იყო, ერთგულო ევა,  
არ ვიცოდი და, მაინც მაგემე...

მე რომ მესურვა... არ გაეტევა მიჯობს,  
თუმც ყვავილები იქ ჩვენაც დავრგეთ,  
სამოთხის კარი რომ დარჩა ღრიჭოდ,  
მე ვინ დამნიშნავს იმ ბაღში გამგედ...

ვერ აუხსნიათ, რა იშვა ადრე,  
თეთრი კვერცხი თუ ჟრუნი ქათამი,  
რა სამოთხეში?! უფრო მეტს გკადრებთ,  
არ შეიშვება სახლში ადამი!..

**გალაკტიონი**

იძრნენ გალაკტიკები, —  
შორი ნისლეულები,  
მოდგა გალა დიდებით,  
ოდენ მისეულებით...

იძრნენ გალაკტიკები, —  
ცდომილი კვაზარები,  
იშვა გალაკტიონი,  
მინის დაზანზარებით...

ცაზე განაკიდები,  
თქორავს მზეს ალბიონი,  
იძრნენ გალაკტიკები,  
იშვა გალაკტიონი!..

**გივი აღრულის მონატრება**

გივი, ჩვენა ვართ,  
ეს ჩვენ ვართ, გივი,  
შენი მოძმენი,  
შენი სწორები,  
ფერი რად გადევს  
უმნიფარ კივის,  
რად ვერ დამნიფდნენ  
შენი წნორები?...  
გივი, დღეს არვის  
აღარ ვჭირდებით,  
ჩვენ ყველა დროში  
ვართ დარბეულნი,  
როგორ იმრავლა, ძმაო,  
ჭირის დღემ,  
მიდიან ღირსნი  
და ადრეულნი...

გივი, მტარვალი  
მუდამ გვეხვია,  
არც გავყიდულვართ,  
არც ვიყიდებით,  
ჩვენ არასოდეს  
ჩაგვიტეხია  
მანდ მოსასვლელი  
გზა და ხიდები...  
გივი, ჩვენა ვართ,  
ეს ჩვენ ვართ, გივი,  
შენი მოძმენი,  
შენი სწორები,  
ფერი რად გადევს  
უმნიფარ კივის,  
რად ვერ დამნიფდნენ  
შენი წნორები?..

**და როცა...**

შენ ადგები და დამტოვებ ახლა  
და სარეცელი — თეთრი სათიბი —  
მნიფე მკერდივით ნაზი, ნატიფი,  
გაეფინება ღრუბლებში, მალლა...

იფარფატებენ თეთრი ფიფქები,  
როგორც საწვიმრად მდგარი ღრუბლები  
და როცა ისე დამიბრუნდები,  
შენი ვიქნები!..

**ღამეშიღობება**

რომ მოვა მატარებელი,  
რომ მოაკვივლებს ბაქანს,  
წერილის დამტარებელმა,  
ერთი მითხარი, რა ქნას!..

ჩამოილია ცის ნამი,  
შხაპა-შხუპა და თქორი...  
წერილს ის ერთი გიგზავნის,  
იმან დაგადო ტორი...

გეყო, რაც იალ-კიალე,  
რაც მოხანი და თესე,  
ნა, ტაძრისაკენ იარე,  
უფლის ვირები მწყემსე!..

მახსოვს, იმ ფერდობს თიბავდი,  
იმ მთაზე გედგა ძნაო,  
ჰა, მოდგა შენი თიბათვე,  
გული არ დაგწყდეს, ძმაო!

არ გეყო? ვის მორჩენია!..  
თეთრი სიბერეც გშვენის!..

რაც გერგო, იგი შენია,  
მხოლოდ და მხოლოდ შენი!..

როცა შვილები იტყვიან,  
შენი სათქმელიც ითქმის...  
სიტყვები შენკენ ილტვიან  
და ცოცხალი ხარ, თითქმის...

თიხასთან დამობილდება,  
შენი ძვალი და ხორცი,  
უფრო და უფრო ბინდება  
წუთისოფელი მორცხვი...

ორჯერაც მეტი ებოძათ,  
არ გეყოფოდა მაინც,  
რაც უნდა ბევრი გეკონა,  
აგრე გიყვარდა რაიც...

ვერ აგივსებდა საჭურჭლეს:  
სიტკბო, სიმდიდრე, ფული,  
შეირგე, რაიც გაჩუქეს,  
ხარბია კაცის გული!

რომ მოვა მატარებელი,  
რომ მოაკვივლებს ბაქანს,  
წერილის დამტარებელმა,  
მითხარი, მაშინ რა ქნას!

ყელზე მოგექდოს ხვიარად,  
ცრემლი გადინოს მწველი?!  
ამსოფლად ქრისტემ იარა  
ოცდაცამეტი წელი!..

რომ ესურვილა დარჩენა,  
ამალღებოდა ცაში?!  
იქ, სულის გადასარჩენად,  
მზად უნდა გყავდეს რაში...

როცა მიგიხმობს მაცდურად  
და მოადგება ბაქანს,  
დაემშვიდობე კაცურად  
სიცოცხლეს — ღამაზ დაქალს...

**ერთი ღლის გახსენება**

მე ყვავილები მოგართვი,  
შენ კი გეგონა იელი,  
მირონ ქალაქში მომნათლე,  
ხელი და გადამთიელი...

მერე გვირგვინებს მინწავდი  
მაგ შენი ღამაზი ხელით,  
გრილი ნიავი მიცავდა,  
ნაქროლი არმაზისხვეით...

ელვას მტყორცნიდი მზერიდან,  
სოფლის ჭორს განაშორები,  
ვხედავდით, ზედაზენიდან  
როგორ აფრინდნენ ქორები...

დამიურვე და მაჭენე,  
ცერზე მაცეკვე დავლური,  
მტვარსა და არაგვს საჩვენო  
გადასდიოდათ აღმური...

ბებრისციხესთან წყურვილი  
მომიკალ ამო ზედაშით,  
შენი ნებით და სურვილით,  
მონათლული ვარ მცხეთაში...

**ილია**

*„ილია იყო მეორე სვეტი“.  
მურმან ლებანიძე*

ჩაიარა მილიარდმა,  
კვლავ ჩაივლის მილიარდი...  
ერთი იყო ილია და,  
ერთი-ორი ილიამდი!..





იქ მთანმინდა დაისეტყვა,  
და ჩაიკრა მინამ გულში,  
სამუდამოდ აისვეტა —  
წინამურში!..

**ისეთი დილა მიგოქა**

თხოვნა მაქვს ბეჩავს მცირე და,  
მადლი ქმენ, ნულარ მახვენებ,  
ერთხელაც დამაძინე და  
ტაოში გამომალვიდე!..

გამომალვიდე კლარჯეთში,  
შავშეთში ჯვარი დამწერე,  
მერე სოფელთან მკლავჭიდში  
გადამთიბე და ამცელე!..

ჰერეთის ჰანგით მაცხოვრე,  
გამხადე ამ ცის მონილე,  
ქურმუხში, მუხლი მაცხოვრის,  
მუხლმოყრის დამაკოცინე!..

ბოლომდე შენთვის ვილოცებ,  
გზები სულ შენკენ მოვწოდებ,  
ისეთი დილა მიბოძე,  
დღის გათენებას ვლოცავდე!..

**მარადიული ტკივილი**

*არჩილ ტატუნაშვილს*

რამდენი გმირი მტკიოდა,  
ვერ დათვლის მექა, მედინა...  
რამდენი ცრემლი მდიოდა,  
რამდენჯერ გული მეტკინა!..

არმაზთან ბუ რომ კიოდა,  
მთვარე რომ ამოდიოდა,  
სიმწრის ცრემლები მდიოდა,  
ნერსე და აბო მტკიოდა...  
ნერსე და აბო მტკიოდა...

მეფე დემეტრე მტკიოდა...  
თევდორე ბერი მტკიოდა...  
მერაბ კოსტავა მტკიოდა...  
ის აბესაძე გიო და...

გარნისელები მტკიოდა...  
კრწანისელები მტკიოდა...  
არაგველები მტკიოდა...  
შინდისელები მტკიოდა...

ტატუნაშვილი არჩილი  
ქარაფებს გადაჰყიოდა,  
ცრემლები, მისი არჩივი,  
შეგუბებულა იორთან...

რამდენი გმირი მტკიოდა...  
რამდენი ცრემლი მდიოდა...

**მარადიული**

წუთისოფლის მდინარეში,  
გაჩენამდე... იქით... ოდით...  
ამეთვისტო, ბროლი, მრეში  
ანუ სიყვარულის ლოდი...


ცრემლი — ზეცის მინერალი...  
გული — ეული და კენტი...  
ვლოკავ ამასოფლის მარლის  
შენი მწიფე ძუძუს კერტით...

**მხოლოდ ერთხელ...**

მირბის, მითოხარიკობს,  
წუთისოფლის ტაიჭი,  
ჩემი თეთრი სიმშვიდე,  
ანუ წელი სამოცი,  
თუ ბიჭი ხარ დაუდექ,  
თუ ბიჭი ხარ დაიჭი,  
ნეტავ, კიდეც რა დარჩა  
ამსოფლად მოსალოცი!..

მხოლოდ ერთხელ, უფალო,  
შენი მუხლის მკოცნელი,  
ამიყვანე ხელში და  
მერე ფრთხილად ჩამომსვი,  
ვიგრძნო ზეცის თავანზე  
მადლი წარუხოცელი,  
ტანზე ჯვალ მოვირგო, —  
სულში — ბერის სამოსი...

ნეტავ, კიდეც რა დარჩა,  
ამსოფლად მოსალოცი!..



**განწყდა ტაეპი**

გულო, ვით გუობ — რასაც ორნივ ვხედავთ მალლიდან,  
რა, ვერა ხედები, თუ რა მაგარ შარში გავებით?! —  
რომ ზღვა სიკეთე იძარცვება ქვეყნის დახლიდან,  
რომ ყოველი დღე მხოლოდ ნგრევა არის ახლიდან...  
კიდეც სხვა ბევრის თქმაც მენადა... განწყდა ტაეპი!

**გაიოლაგული პრობლემა**

ორმა დინებამ —  
დრომ და იორმა  
ჩემი ვნებები თან გაიყოლა!..  
ბევრი ღირსება თუმც ამეყარა,  
ერთი პრობლემა გამიიოლა —  
პლატონურადლა მიყვარხარ!

**შვილის წვრთნა**

ჩემი ღრმადგამჭოლი ჭკუითა და ურყევი რწმენით —  
მამამ შვილი პირადი მაგალითით უნდა წვრთნას,  
თვალი მეტწილად შორიდან მიაღვენოს,  
ზედმეტად სიტყვა და ფული არ დაახარჯოს,  
საქმე არ დააძალოს, სიყვარული აკმაროს,  
თავად — კარგადაც მოიქცეს, ცუდადაც...  
მერედა, ბავშვმა კარგი და ცუდი  
როგორ გაარკვიოსო? —  
ვიცი, იკითხავთ გაკვირვებულნი,  
კითხვითვე ვპასუხობთ: რისთვისა დედა?

**ჩვენი ორგულები**

**ყარგონულ ორნამენტში**  
*„ორგულ არს ბუნება ქართველთა“.*  
ვახუშტი

მაგრა ბლატაობს სული ბოროტი,  
არსაით ტეკობა და მყუდროება,  
ამეტებს, პროსტა, მტრობა მოლოდინს,  
შლეგ მედროვეებს რჩებათ დროება  
და ორგულობენ ვაბშე ბოლომდე —  
ენას, მამულს და სარწმუნოებას!

**ვეღრება**

უფალო, განა რა იქნება,  
ურჯუქ ქართველებს,  
ერთი მცნებაც რომ გვიქადაგო  
გონთ მოსაკრებად,  
სახელდრობრ — „არა ქალ ჰკლა!“.

**სასჯალი და თავისუფლება**

ოჯახს კარგა ხნის მოკიდებული იყო,  
დიდ დამნაშავედ რომ სცნო სამსჯავრომ  
და დარწმინილი საცოცხლისა — შემოულობა.  
თუმცალა, საკანს ხომ ვერ გამოეკერებოდა —  
და ერთხელაც განთავისუფლდა, ანუ მოკვდა.  
უბირმა შთამომავლებმა კი იმ უბედურს  
ახლა საფლავი შემოუკავეს!

**სული სურვილს ასაჯაროებს**

აქ სამ მიჯობს, რალაცაში:  
ჭურში, ჭინჭილაში, ჭაში...  
უფრო კი — შენს ფანჯარაში.  
ვიჯახირო რალა ცაში!

**მაშინ არ გაიხსენო**

მე შენ წამითაც არ მავინყდები  
და შენც დროდადრო მიგონებ ალბათ —  
ასე, ამგვარად ვცლით სიცოცხლეს უერთმანეთოდ...  
და გთხოვ: ლოგინში როცა ქმარი მოგიხობდება,  
რომ ხვნიშა-ქმენით კუთვნილ საქმეს მოაბას თავი,  
მაშინ არა და არ გაიხსენო!

**სიფათი სარკავი**

რა ხელით უნდა დაიხატო, ანდა რა ენით?  
ცნობა შენისა ბუნებისა მაგრა გაჭირდა —  
მაგ სიფათიდან იმზირება ზოგჯერ კაენი,  
ზოგჯერ პოეტი მეზმანება მაგ სიფათიდან!

**უამინდობა**

*მიონას*

თვალწარმტაცი ხედების  
გაქრენ გამოხედვები,  
ალარც შენ ილიმები,  
ალარც მზე ილიმება;  
უღიმღამო წვიმებით  
იღებება ქვეყანა;  
ნოემბერმა ინება —  
არა ეშველება-რა...  
და მეც ჭმუნვა მედება  
საქართველოს ქედების —  
თვალწარმტაცი ხედების  
გაქრენ გამოხედვები!

\*\*\*

ვით თოვლს  
დათოფილ  
ნადირის  
კვალი —  
გულს ნასიტყვარი ისე მატყვია!

\*\*\*

ძალის კუდზე ხარ გამობმული, ამ უხამსობებს  
რას დაუსხლტები ჩემო ცხოვრებაე!

**პასტორალი**

ცხვარი არ მყავს ურიცხვი,  
არც ლაშრის ვარ ბელადი,  
მაგრამ მაინც ყელამდე  
სიყვარულში გაცხოვრებ!  
მონმე — ა, ეს მოცხარი,  
ეს წყარო და ხელადა;  
სახრე მექცეს გველადა,  
თუკი სიტყვას ნაუველ!

**სანუკვარ საკუთრებას**

მეტად სანატრი და მათრობელა  
და მეტისმეტად მზიური რომ ხარ,  
სწორედაც ამად მართლაც ვარ ზოგჯერ  
გულურჯუკი და მოძალადეც კი,  
ჩემო სანუკვარო საკუთრებაე!

\*\*\*

ამ მუშტად შეკრულ ლაჩრებისაგან  
და ნამუსჩახდილ ჩარჩებისაგან  
თუ რამ გადავანარჩუნე,  
ესლა — გული ჩემი,  
ლარნაკი ერთი ვარდისთვის!

**18 წლის გივი ლოლაქის პიტივია**

ამ ლოდქვეშ ყოფა ისევ გრძელდება,  
თავის თანმდევი სოლომ-ედემით...  
კიდეც ლამდება, კიდეც თენდება,  
დროც მემატება, არკი ვბერდები!

**მინერალური ლექსი**

*ლია სტურუას*

სისხლის ტკივილმა ცოტათი რომ გადამიარა,  
სულს შევასხი ტახტზე მიყრილი ტან-სამოსი  
და მიუშვი კარში სახეტილოდ,  
თან გავაფრთხილე:  
ია-იასამნის ფერებზე ფეხი არ დაგიცდეს,  
ან თუ ეკალბარდს გაედე სადმე —  
ეცადე მხოლოდ ვარდისას-მეთქი!  
ერთი ვთხოვე:  
მინერალური მტკვრის მშრალ ხიდთან  
ეგებ იყოს და მიყიდე კასეტა ბახის ეტიუდებისა,  
თორმეტია თუ რამდენიცაა —  
უქმოობისას მოვუსმენ ხოლმე  
(განსაკუთრებით იმ მეთორმეტეს)  
შენი სურნელოვანი სურვილების შესაცნობად,  
უჰაეროვანესო ლია!  
ვიცი განა არა, რაოდენ გიმძიმს ახლა  
და დღესვე, ოცდახუთ საათამდე,  
უსათუოდ მოვალ და მოგესაუბრები ჩემ გასაჭირზე,  
შენ ხომ საოცრად გეხერხება გულის ყურის გდება  
და საყვარლად წერა ყველასთვის!



დასასრული

პიესა „ლუზა ჩაუშვი, ანგელოზო!“ ზღვისპირა ქალაქის ცხოვრებას აგვიწერს. ამ პიესაში თითქოს რაღაც დახშული წრეა გარემოწერილი. პერსონაჟები ცდილობენ ამ წრის გარღვევას, მაგრამ ვერ ახერხებენ. ზღვისპირა პროვინციაში მონყენა სუფევს, გადაუღებლად წვიმს. ქართულის მასწავლებელი ბონდო ხელმოცარული, გალოთებული რომანტიკოსია. მისი ილუზიები უკვე დამსხვრეულია, ცხოვრებაში დამდგარა ჟამი განვლილის შეფასებისა. არცერთი მისი მონაწილე ფილოლოგი არ გამხდარა და ამის გამო ბონდო ფიქრობს, რომ ის ვერ შედგა, როგორც მასწავლებელი. თბილისიდან ჩამოსული ორი სტუდენტი ფილოლოგი ბიჭი ბონდოს ლიტერატურაზე ესაუბრება. მათი საუბრის თემა არა მხოლოდ პოეზიაა, არამედ სინამდვილისადმი გაუცხოების დამთრგუნველი გრძნობა. ერთ-ერთი მათგანი ზღვისპირა ქალაქის მასწავლებელს შესწივს: „კიდევ კარგი, წამოვედი. მეტი აღარ შემეძლო, ალბათ შუა ქუჩაში ვიბღავლებდი და გული გამისკვებოდა“.

ბიჭები ბონდოს დახმარებით ქირაობენ ბინას და პერსონაჟების წრე იკვრება. აქ არიან გოგონებიც, ქალებიც, ბიჭებიც, ბონდოც. ყველას რაღაც ანუხებებს, რაღაც გამოუვალობის განცდა. გოგონები და ბიჭები ვერ გარკვეულან თავიანთ გრძნობებში და საკუთარ თავებს აწყდებიან. იგივე ვითარებაა პიესაში „ძველი როიალი“. აქ აქცენტი მამა-შვილის ურთიერთობაზე კეთდება. მამა ძველი თაობის კაცია; როგორც თვითონ ამბობს, იმ თაობისა, რომელსაც რაღაცის რწმენა ჰქონდა. მისივე სიტყვით კი ახალი თაობა რწმენადაკარგული თაობაა. „გაბრაზებული ახალგაზრდები ქვეყანას ვერ ააშენებენ. თქვენ ცხოვრებას დაცინვით იწყებთ“, — ამბობს მამა, სახელად ნიკო და, ცხადია, რომ მის ნათქვამში ჭეშმარიტების მარცვალ მართლაც მოიძვევა. შვილი კი, ზაზა, უპირისპირდება და აკრიტიკებს და ისიც თავისებურად მართალია. ზაზას აზრით, მამების რწმენა სიცარიელეზე იყო დაფუძნებული და ამ ფუტურო რწმენამ დაბადა ურწმუნობა.


„ძველ როიალში“ ყურადღებას იქცევს დიალოგების თავისებური წყობა. მათ შორის აზრობრივი კავშირი დარღვეულია, პერსონაჟებს შორის არ არის ნამდვილი, შინაგანი კავშირი, რაც დიალოგებშიც მუდგანდება. ისინი საუბრობენ, მაგრამ ეს საუბარი „ურთიერთაცდენილია“. ერთი პერსონაჟი მიმართავს მეორეს, მაგრამ მათი საუბრების თემა და საგანი სრულიად განსხვავებულია. ამ ხერხს თამაზ ბაძაძე ოსტატურად იყენებს. შეიძლება ისეთი აზრიც დაგებადოს, რომ ეს ერთგვარი „ცნობიერების ნაკადია“. ერთი პერსონაჟის „ცნობიერების ნაკადს“ კვეთს მეორის ასეთივე სპონტანური მეტყველება.

პიესა „ფანჯრების იქით“ ისევე, როგორც „ლაშქა და თუთიყუში“, ერთი პერსონაჟის მონოლოგია და აქაც თამაზ ბაძაძე ნარმოდგება ემოციურად დამუხტული დრამის ავტორად, ტრაგიკოსად. ქალი, რომელმაც ნაყოფი მოიშორა და ღრმა აპათიას მიეცა, სარწმუნოებაში თავის ბავშვს წარმოისახავს. ქალი ხელით არწევს სარწმუნოებას და თან აღსარება-მონოლოგს წარმოთქვამს. ეს ილუზიადამსხვრეული ადამიანის აღსარებაა. აღსარების ბოლოს ქალი სარწმუნოებადან ბალიშს ამოიღებს და მოისვრის, სარწმუნოებას გადააბრუნებს, იატაკზე ჩაიკეცება და ირინდება, ზედა სართულიდან კი მხიარული მუსიკისა და ცეკვის ხმა ისმის.

ისტორიულ თემაზე შექმნილი პიესები („იფიგენია“, „მარადიული მოწიწება“) მასალის ცოდნით არის დაწერილი. ამ პიესებსაც გამოარჩევს ლიტერატურული შესრულების დონე, სისხლსავსე ენა, დახვეწილი ფრაზა. ისტორიულ ფონზე გაშლილი მოქმედება ხასიათის კონტრუქტსაც მკაფიოდ წარმოაჩენს.

\*\*\*

საღამოს მარტივიდან გამოვდივართ და თბილისისკენ ვიღებთ გზას. ნოემბერია და ჰაერში ზამთრის მოახლოება იგრძნობა. მწუხრი ქრება და სინათლეები ინთება გზებზე. სევდა მოგვეყვება და სინანული. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ გამომგზავრებისას მაინც სევდა მოგვერია. მე ისევ ტორკვატო ტასოს „ამინტა“ მახსენდება. უცნაურია, თამაზი თანამედროვე



ანდრო ბუაჩიძე

# ოცდაათი წლის შემდეგ

იტალიელ პოეტებს თარგმნიდა, უკვე ალლოც აულო ჰერმეტულ პოეზიას და უეცრად პასტორალის თარგმნას მიჰყო ხელი.

თამაზს ოსტატობა იზიდავდა. ის ლექსის ოსტატი იყო. ამიტომაც შეჰყვია ჰერმეტული პოეზიის ლაბირინთებს. ჰუგო ფრიდრიხი ჰერმეტულ პოეზიაზე წერს: „ასე წარმოიშვა პოეზია, რომელიც კი არ ელტვის, არამედ განელტვის მკითხველს. მას გონებით უნდა მივუდგეთ, მისი ბუნდოვანება გონითი სიჭარბისგან მომდინარეობს. ამ პოეზიის ადრული ლირიკისაგან განსხვავება ისაა, რომ წონასწორობა გამოსახატავ შინაარსსა და გამოხატვის ფორმას შორის დარღვეულია ამ უკანასკნელის პრიმატის გამო“. ესე იგი, აქ ფორმის პრიორიტეტია, გარკვეული სახის ფორმალისმი, ისეთი ფორმალისმი, როცა შეგნებულად არის საზგასმული სინამდვილისადმი გაუცხოება და სინამდვილის დეფორმაცია. ჰუგო ფრიდრიხმა ყოველივე ამას მშფოთვარე სტილი უწოდა, სადაც ნიშანი და აღსანიშნი შორდება ერთმანეთს. ერთი სიტყვით, აქ არის ერთგვარი ეკვილიბრისტიკა, სადაც გარკვეულწილად ინტელექტიც მონაწილეობს. მე ვფიქრობ, თამაზს ყოველივე ამასთან ერთად (გგულისხმობ ჰერმეტულ ლექსებს), რენესანსული ოსტატობა იზიდავდა, სადაც ფორმასა და შინაარსს შორის წონასწორობა დაცულია. ამიტომაც აირჩია ტორკვატო ტასოს პასტორალი და შთაგონებით შეუდგა კიდევ თარგმნას. შთაგონებას კლასიკური სამყარო და სიყვარულის აპოლოგია აღუძრავდა.

ამური თავის ისარს სტყორცნის უბრალო მწყემს ამინტას. ამინტას ნიშნა სილვია შეუყვარდება. სილვია არ პასუხობს მას, ვიდრე ამინტა სატირისაგან არ გამოიხსნის და თავადვე თვითმკვლელობას არ შეეცდება. გადარჩენილ ამინტას ნიშნა სილვია უკვე თანაგრძნობით ეკიდება და პასტორალიც მათი ორმხრივი სიყვარულით სრულდება, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ამინტა“ არ არის ჩვეულებრივი პასტორალი; თვითონ სილვიას რთული ხასიათი, მისი მიუკარგობობა და ამინტას თვითმკვლელობის ეპიზოდი ტრაგიკულ ელფერს ანიჭებს მთელ დრამას.

„ამინტა“ გადატვირთულია ლიტერატურული რემინისცენციებით. აქ არის ანტიკური ხანისა და ავტორის წინამორბედი იტალიელი პოეტების სახეცვლილი ცნობილი ფრაზები და ანალოგიები. დოკუმენტურ-რეალისტური სიზუსტით აღბეჭდავს ტორკვატო ტასო ბუნების სურათებს. დრამის სქემა კი ტრადიციულია: სასტიკი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ მთავარი პერსონაჟები პოულობენ ერთმანეთისკენ მისასვლელ გზებს.

ჩემი აზრით, თამაზი მიიზიდა დრამის ლირიკულმა წყობამ. ლირიკული პათოსით არის გამსჭვალული ნანარმოების პროლოგიც და ეპილოგიც, ინტერმედიებიც და ქოროს ნაწილიც. ქორო არ არის სტატიკური, უმოძრაო, ის ჩართულია პერსონაჟთა მოქმედებაში. არაჩვეულებრივია თვითონ დრამის პროლოგი და ეპილოგი. ამური გაუსხლტება ვენერას და თავისი მშვილდ-ისრით აღმა-დაღმა დაეხეტება.

უკვე ეპილოგში ვენერა ეძებს თავის ვაჟს ამურს, დამოვნელებს ჰპირდება, ვინც მის ადგილ-სამყოფელს მიმასწავლის, კოცნით დავაჯილდოვებო.

თამაზს ამ ნანარმოების თარგმნისას შესაძლებლობა ჰქონდა გადმოეცა რიტმული მეტყველების მრავალფეროვნება. რიტმი დრამის ცალკეულ მოხავედებებში იცვლება. ამგვარი რიტმული გადაწყობა თითქოს შინაარსობრივადაც ამდიდრებს ნანარმოებს. რიტმული „გადახვევები“ ერთგვარი შინაარსობრივი შენაკადებია, რომელიც აჩქარებს ან ანელებს თხრობას. ზოგან პოეტურ თხრობაში რითმაც ერთევა და ესეც საოცრად ბუნებრივად ერწყმის დინებას. ამ დრამაში რაკი ამბავი ლირიკული თხრობის მეშვეობით არის განფენილი, მნიშვნელობა აქვს ყოველ სიტყვას, ფრაზის მიმოხრას, ეფფონიურ ნახაზს. ალბათ ამიტომაც მოჰკიდა ამ ნანარმოების თარგმნას ხელი თამაზმა. მან წარმოიდგინა ენობრივი კეთილხმოვანების ის ხარისხი, რომლითაც შეიძლება აღბეჭდილიყო ქართულ ენაზე თარგმნილი ეს პასტორალი. ვფიქრობ, დაიწყო თუ არა თარგმნა, მაშინვე უფრო ცხოვლად იგრძნო ყოველივე ეს და ბოლომდე მიჰყვა ზუსტად აკრეფილ პირველ აკორდებს. „ამინტა“ ასე იწყება:

*ვინ დაიჯეროს, ამ დაბეჭილ მწყემსის სამოსში ადამიანის სახით ღმერთი*

*რომ იმალება, ნამდვილი ღმერთი —*

*არა სწყეთა უბრალო მეფე, და უმცირესი სხვა რჩეული ღმერთების გვერდით.*

*არამედ იგი — ყოვლისშემძლე და ზეციური ვისი ნებითაც მარსი თავის*

*სისხლიან მახვილს მინაზე ხრიდა მორიდებით,*

*ვისი ნებითაც თავად ნებტუნი, დედამინის*

*ნელში გამდრეკი მსახვრალ სამკებლას განაგებდა*

*და უძლეველი იუპიტერიც ელვას*

*ზეცად მიმოაქრობდა.*

ქართული თარგმანის არცერთ მონაკვეთში არ არის ანემიური ფრაზა, დარღვეული რიტმი, მიზანსაცდენილი ან ბანალური რითმა. ეს, რაც თვალისთვის სახილველია, მაგრამ ყოველივე ამის გარდა, მდიდარი და სისხლსავსე ქართული ენით თარგმნილ დრამაში განფენილია ფაქიზი ლირიზმი და ემოციური მიმზიდველობა და აი, აქ ჩანს სწორედ მთარგმნელი-პოეტის ინსპირაციის ნიჭი, მისი უცხოურ ტექსტში შეღწევის უნარი.

ვფიქრობ, რომ ტორკვატო ტასოს „ამინტა“ თამაზის საუკეთესო თარგმანია. ეს თარგმანი შედარებით გვიან შესრულდა. ადრე კი იყო სხვა თარგმანები, ოსტატობის დაუფლებს გზა. თარგმნა თამაზისთვის მართლაც, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე პოეზიის დაუფლების საშუალება გახლდათ. მან არაერთი და ორი ავტორის რთულად სათარგმნი ტექსტი თარგმნა, სადაც წარმოჩნდა ხელობის ფლობა და ოს-

ტატობა, მაგრამ „ამინტა“ უკვე საბოლოო მიზანია და არა საშუალება, ეს არის არა მხოლოდ ოსტატობა, არამედ კვლავადგენა, სულის შთაბერვა, შეუღწეველში შეღწევა. მართალია, თამაზმა ადრეულ ასაკში მიაღწია ამ წარმატებას, მაგრამ ეს ხანგრძლივი მთარგმნელობითი შრომის შედეგად მოხდა.

ძნელია ახლა იმაზე ფიქრი, რა სახეს მიიღებდა თამაზის შემოქმედება, ერთ რამეს კი უტყუარად ვხედავ: თვითონ მისი პოეზია თემატურად უფრო და უფრო ფართო წრეს შემოიწირდა და გაღრმავდებოდა. ეს ნიშნები უკვე არსებობდა, არსებობდა და არსებობს უელერესად მკაფიო, ორიგინალური ხელნერით აღბეჭდილი ლექსები, რომელიც ღრმა აზროვნების ნაყოფია. აქ აუცილებლად მოხდებოდა ძვრა, ხელახალი განათება, მეტამორფოზა...

მინდა, გავიხსენო კიდევ ერთი ეპიზოდი „ამინტადან“. სატირი თავის მონოლოგში ამბობს, რომ სიყვარულს არ უნდა ახლდეს ალტაცება, კრძალვა, მორიდება. სიყვარული მხოლოდ ბუნების ძალას უნდა ემორჩილებოდეს, ბუნების ძალით უნდა იკვალავდეს გზას; ფაქტობრივად, აქ სატირი სიყვარულში სულთერების ელემენტს, პიროვნულ-ინდივიდუალურ სანყისს უარყოფს და, არსებითად, ზედმეტად მიიჩნევს, არადა, „ამინტა“ სწორედ პიროვნებათა დრამაა, ქალ-ვაჟის, მწყემსის და ნიშნის რთული პიროვნული ურთიერთობაა. ვფიქრობ, თამაზმა, საზგასმულად მძაფრად და გამომსახველად თარგმნა და გადმოსცა შიშველი ვნებით ანთებული სატირის სწრაფვა:

*შენ განაშორე ტრფობას*

*კრძალვა და მორიდება და ალტაცებაც, ასე ტკბილი და დამბანგავი...*

*რაიც იშვება მიწიდან და ზღვის ტალღებიდან*

*რისად ეს ფუჭი ბეჭა ქალის და იდუმალ ხლართის?*

*რაც ამ ბუნებამ უწყალობა, ამ იარაღით იცავს ყოველი სულიერი*

*არსებას თვისას: ირემი — სრბოლით, ტახი — ეშვით,*

*ლომი — თათებით, ქალის ძალა კი მის სიტურფე —*

*სინაზეშია და მიკვირს, რატომ მე არ ვსინჯე*

*ეს იარაღი, ბუნებისაგან უშურველად*

*ნაწყალობევი, რომ სიყვარულის ჩემი ჯილდო*

*ნებით თუ არა ძალით მიმელო, ამაოა*

*სილვიას ოხვრა...*

ასევე მძაფრად არის თარგმნილი ფინალური ნაწილი, სადაც სატირი მარცხდება და ისახება მწყემსისა და ნიშნის უკვე დრამატიზმით აღბეჭდილი სიახლოვე. თამაზი სწორედ ამგვარი სიახლოვის მომხრე იყო და ამიტომაც თარგმნა ეს დრამა.

\*\*\*

ოდნავ ნასვამი იყო, ირწოდა. თითქოს ბევრი რამის თქმა სურდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, გიყურებდა თავისი ცისფერი თვალებით, გამომცდელი მზერით, მერე მოულოდნელად გაიცინებდა... რაღაც არ ასვენებდა, რაღაც ღრღინდა შიგნიდან. „რა ვქნათ, სად წავიდეთ?“ — შეგეკითხებოდა, ოღონდ პასუხს აღარ ელოდა... ასეთი ამოიზიდება ჩემს მახსოვრობაში თამაზ ბაძაძეს სახე, ხალისიანიც და ნაღვლიანიც, გულდანყვებულ, ზოგჯერ ოდნავ ირონიულ, ოღონდ ეს ირონია ბავშვური იყო, წამიერი, არამკვიდრი და არცთუ მისი არსების სიღრმეიდან მომდინარე... ასეთი მიდგას თვალწინ ახლაც, გვიან ღამით რომ ვბრუნდებით თბილისში. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ფიქრი მიჰყვება შინისაკენ. უკვე აღარ ვსაუბრობთ. ვფიქრობთ. მე იმაზე ვფიქრობ, როგორ გრძელდება თამაზის არსებობა ჩვენში. მთავარი ის არის, რომ გრძელდება!

*ჩემი ცრემლები ამ თვალების*

*იქით გრძელდება, ჩემი სიმღერა ამ ბგერების*

*იქით გრძელდება, ჩემი ღიმილი ამ ტურჩების*

*იქით გრძელდება, სუსხი რომ აზრობს, როგორც*

*ხის ქერქს შემოდგომაზე...*

**P.S.** 22 იანვარს თამაზ ბაძაძეს 60 წელი შეუსრულდებოდა...



ბეჭდის უთოვლო ზამთარი ჩაივლის, სანამ მოთოვს; სანამ ვინმეს ისევ შეურყეველ სახელს ისეთ ახირებულსა და პრეტენზიულს, როგორცაა ანაბელი.

ის კი, სახელად ანაბელი, გრძნეულივით დაუდარაჯდება სეზონების რუტინულ, გარდაუვალ ცვალებადობას. იქნება პოეტური და საიმედო, როგორც მშობლების სახლი.

ტყის განაპირას მდგარ ნითელსახურ-ავიან მყუდრო სახლზე ოცნებობდა, მისი სახლი კი ქალაქის სულ მთლად შუაგულში იდგა. სახლი — არა, ოროთახიანი ბინა, რომელსაც ტყე არ ეკრა, მაგრამ სიმყუდროვეს ვერავინ დაუნუნებდა. კედლები თეთრად იყო შეღებილი, ფანჯრებზე ყვავილებიანი ფარდები ეკიდა და დივანზე ყაისნალით ნაქსოვი აურაცხელი ზოლიანი ბალიში იყო მიყრილი. მთელს კედელს გასდევდა ნიგნების თარო: დიდი, პატარა, ძველი და ახალი ნიგნებით გამოჭედილი. ამ ოთახს არც მდიდრული ეთქმოდა, არც ღარიბული. მყუდრო და ნათელი. დილით, თვალის გახელისთანავე, ყვავილებიანი ფარდებს ბოლომდე გადახსნიდა ხოლმე ანაბელი და მზე მხიარულად აცეკვდებოდა მაგიდაზე დახვავებულ ვაშლებზე.

საძინებელ ოთახში დიდი ლოგინის თავზე ძველებური ფარდა იყო აკრული. ანაბელს რაც თავი ახსოვდა, ღრმად სწამდა, რომ ამ აღმოსავლურმა ორნამენტებმა დიდი ბებუის, დაროს, ახალგაზრდობა და ოცნებები შემოინახეს. შემოინახეს მისი ნორჩი თითების ჯიუტი გულმოდგინება; მისი ღამეული ზმანებები სატრფოზე. შემოინახეს მაგიურად, ისე მაგიურად, რომ როცა ანაბელი საძინებელ ოთახში მარტო რჩებოდა, გაუმდებელი ჰქონდა განცდა, თითქოს ოთახში ვიღაც იყო მასთან ერთად; ვიღაც გადმოჰყურებდა ფარდაგადან. შემამოფოთებლად არა, უფრო — გამომცდელად, დინჯად.

თუმცა მარტო იშვიათად რჩებოდა ამ ოთხ კედელში — უფრო დიდი დიდილოებით, ლოგინის გასასწორებლად. საღამოს ისევ შეაღებდნენ ხოლმე ფარდაგაიანი ოთახის კარს უკვე სამი და აკვირებული რიტუალივით უცვლელად, უპირობოდ, ფარდაგის ჩახლართულ ორნამენტებს ძილის წინ თითებს გააყოლებდნენ ხოლმე დღე და თომა.

ცხოვრობდნენ სამნი. ანაბელი, დუდა და თომა.

ანაბელის საყვარელი სეზონი მაშინ იწყებოდა, ფოთლები რომ გაყვითლდებოდა და დაჭმუჭნული ხელსახოცებივით მოეფინებოდა მიწას. მოეფინებოდა ეზოს მწვანე სასრილოებს. ბიჭების საოცნებო დღეების დადგომაზე კი ზამთარი იყო პასუხისმგებელი. ათასში ერთხელ, როცა თოვლის ფიფქები ნებეირად მოჰყვებოდნენ ყინვანარევი ჰაერში ბზრივად, მწვანე სასრილოებს დაათოვდა და ეზოს ბავშვებს ახალი გასართობის ძებნაზე უწევდათ დარდი.

მაგრამ თოვლში გართობა არ იყო ძნელი. მეტიც, თოვლში გართობაზე იოლი არაფერი იყო.

ღამით შეიყუჩებოდნენ ხოლმე დიდი, ყვავილებიანი, დალიანდაგებული საბნის ქვეშ, დედა ბორდოსფერ აბაჟურს ანთებდა და მისი მქრქალი ნათების ქვეშ უკითხავდა ბავშვებს ნიგნებს. იყო ნუთები, როცა სამივენი ერთად ხმამაღლა იცინოდნენ და ისეთი ეპიზოდებიც ეფეთებოდათ გზადაგზა, ბიჭებს რომ ასევედიანებდა, დედას კი ნისლისმაგვარ ჩრდილებს უჩენდა თვალებში.

დავიძინოთ, თორემ დილით გაგვიჭირდება ადგომა, — იტყოდა დედა. აბაჟურს აქრობდა და გარეთ მოგრივად მანქანების ნათება ჩამუქებულ კედელზე იწყებდა ხტუნვას.

ცხოვრობდნენ სამნი. ანაბელი, დუდა და თომა.

დედას გულის ყველაზე ღრმა შრემდე უყვარდა ეს ორი და ბიჭებისთვისაც გალაქტიკაში მოციმციმე ყველა ვარსკვლავზე ლამაზი იყო დედა.

დუდა და თომა მხოლოდ ვაშლის ნამცხვრის სიყვარულით ჰგავდნენ ერთმან-

### მაკა ცხვედიანი



## სახელად ანაბელ

ნეთს, სხვა არაფერი უგავდათ. არც თმის ფერი, არც ინტერესები. სამაგიეროდ, ასეთ განსხვავებულებს, ერთმანეთზე საყვარელი მთელს დედამინაზე არავინ ეგულბოდათ და მაინც, ზოგჯერ ისე ჩხუბობდნენ, ანაბელი ძლივს აშველებდა.

დუდა დინჯი იყო, ყველაფერში თანმიმდევრული. სკოლიდან რომ მოვიდოდა, ისადილებდა, ცოტა ხანს შეისვენებდა და სანამ ყველა გაკვეთილს არ ისწავლიდა, კომპიუტერი არც კი გაახსენებოდა. თომას, სავარაუდოდ, მსოფლიოში გადაღებული ყველა ფილმი ნანახი ჰქონდა; სამაგიეროდ, მეცადინეობა სძულდა. დუდა იმანზე ბრაზდებოდა, როცა რომელიმე მასწავლებელს დავალების შემოწმება ავიწყდებოდა. თომა ოცნებობდა დამდგარიყო დღე, როცა საშინაო დავალები საერთოდ გაქრებოდა ბავშვების ცხოვრებიდან.

ზოგჯერ ბიჭები მარტოებიც იძინებდნენ. ჭრელი საბნის ქვეშ ლაქლაქებდნენ, იცინოდნენ და თითქმის ერთდროულად გადაეშვებოდნენ ხოლმე ძილის სამყაროში.

ანაბელი ამ დროს დიდ ოთახში მაგიდასთან იჯდა და გვერდით ერთმანეთზე აკოვრავებული უამრავი რვეული ელაგა. მოსწავლეების საკონტროლო ნამუშევრებს ასწორებდა. ტექსტების დიდი ნაწილი ნითელი ხაზებით იყო გადაჭრელებული. თუმცა ეს ნითელი ხაზები პუნქტუაციურ შეცდომებზე, გაუშართავ აზრსა და სტილისტურ დაუდევრობაზე არ მიანიშნებდა. ანაბელს ტექსტის გასწორების თავისებური, განსხვავებული მეთოდი ჰქონდა — ნითლად ხაზს იმის ქვემოთ უსვამდა, რაც მოსწონდა, რასაც ავტორ-მოსწავლის მიგნებად, მიღწევად და თუნდაც სულ უმნიშვნელო წარმატებად თვლიდა. შედეგად, როცა ანაბელის მოსწავლეები ასეთი განსხვავებული ფორმით გასწორებულ საკონტროლო ნაშრომებს ჩახედავდნენ, ნითელი ხაზები არამცთუ არ ამინებდათ, პირიქით, ენით აუნერგლ სიხარულს ჰგვრიდათ.

როგორ დავიდალე, — ჩაილაპარაკებდა გვიან ღამით ანაბელი და ფრთხილად მიხურავდა საძინებლის კარს.

დიდი დილით ერთი ამბავი იყო. მალვიძარა რეკავდა, ანაბელი თან იცვამდა და თან ჯაჯგურით ალვიძებდა ბიჭებს, რომლებსაც არაფრით სურდათ სიზმრებთან გამოთხოვება. მერე ყიყლიყოს ლალი სურნელი დგებოდა, დუდა და თომა უცვლელად ნუნუნებდნენ, რომ კბილის პასტა

ყველაფერს უფუჭებდა გემოს — ყიყლიყოსაც და კაკოსაც; და რომ თვალბეჭდში უჭყიტინებდათ ანაბელის გადახსნილი ფანჯრებიდან შემოხეტებული მზე. უკვე ჩაცმული ანაბელი ორ განუყრელ ბეჭედს ნამოცივამდა ხოლმე. ერთს — შუა, მეორეს — საჩვენებელ თითზე. პირველი ბრტყელი იყო, უთვლიდნენ, მეორეს ფირფიტის ზემოთ ამოწმული ქვა ჰქონდა შუაში. ორივე ბეჭედი ბებებმა აჩუქეს, როცა სკოლა დაამთავრა. ვენერამ და ნინამ. ახლა, როცა ბებიები აღარ იყვნენ, მათზე მოგონებები განუყრელად დაჰყვებოდა ანაბელს, ისევე, როგორც ნინას მოხარული მაცვლის მუარბის გემო; როგორც ნაფტალინის სუნი ვენერას ტანსაცმლის კარადაში. და მუდამ თან ჰქონდა ეს ბეჭედებიც — როგორც ორი ბებიის დედამინაზე ყოფნის უტყუარი ნივთმტკიცება.

სკოლაში წასასვლელად ადგომა ანაბელსაც უჭირდა წლების წინ. მეხუთე კლასში რომ გადავიდა, ზაფხულის გრძელ ღამეებში გრძელი ნიგნების კითხვას შეერჩია. შემოდგომაზეც არა და არ უნდოდა ადრე დაძინება. ლოგინში ჩაგორდებოდა და გვიანობამდე კითხულობდა, სანამ არ შემოვიდოდა მამა და ღიმილით არ ჩაუქრობდა უქუს. დილითაც მამა აკითხავდა გასაღვიძებლად — სინათლეს აუნთებდა და სიცილით პასუხობდა ანაბელის უკმაყოფილო ზუზუნს. ადგომა ყოველ დილით ჭირდა. სამეცადინოც მეტი იყო, ვიდრე დაწყებით კლასებში. ყველა საგანში სხვადასხვა მასწავლებელი დაუნიშნეს. დიდილოებით გრილოდა. წვიმიანი დღეები არ იდგა. ვერაფრით ღალატობდა ღამ-ღამობით კითხვის არცთუ გონივრულ ჩვევას...

ქართულის მასწავლებელმა, ირინამ, კარი შეაღო და გაეცნო თუ არა, მთელს კლასს სთხოვა, ისე დაენერათ საშინაო დავალებები, არავინ ჩაერიათ პროცესში. შეცდომებით ვისწავლოთ, — ასე თქვა ირინამ. ანაბელიც ბავშვობიდან ისეთივე გულმოდგინე და კეთილსინდისიერი იყო ინსტრუქციების შესრულებში, როგორც დუდა. შეცდომებით ვისწავლოთ — ამ ფრაზამ მშობლიური ნისის შესწავლის პროცესიც განსაზღვრა, პროფესიული არჩევანიც და უფრო მოგვიანებით, ანაბელის პირადი თავგადასავალიც. „შეცდომებით ვისწავლოთ.“ უფრო მეტად სიმბოლური აღმოჩნდა ეს სიტყვები მისთვის, ვიდრე ირინამ ჩაიფიქრა, ალბათ, მეცადინეობასთან დაკავშირებული თხოვნის გახმევანებისას. ანაბელმა დაუჯერა და ასეც მიეჩვია. წერდა და არავინ კითხულობდა

მის ნაწერს მასწავლებლის გარდა, არც თავისუფალ თემას, არც ნაკითხულს მანარსს, არც რაიმეს გარჩევას ან ვინმეს დახასიათებას. კითხულობდა მხოლოდ ირინა, რომელმაც თითქმის თავიდანვე შეამჩნია ანაბელს წერის ნიჭი. ის ურჩევდა ანაბელს, ეწერა ყოველ დღე, ყოველ საღამოს, ყველა თავისუფალ წუთს. ურჩევდა წასაკითხ ლიტერატურასაც. მეტიც, თავად მოჰქონდა მისთვის ნიგნები, გაკვეთილების შემდეგ ესაუბრებოდა ნაკითხულზე. მანვე შეაყვარა ანაბელს ლექსებიც. კითხულობდა და სტროფები, მფრთხალი ბედურებით, თავისით ფრინდებოდნენ თავში. პოეზია ჰგავდა მუსიკას.

ახალი წლის მოლოდინი მთელ დეკემბერს სადაფისფერ, მზზინავ განწყობას სძენდა. დეკემბრის ბოლოს, სკოლის არდადეგები რომ დაიწყებოდა, ანაბელი ყველა ფანჯარას საგულდაგულად ჩამონმენდდა, ყვავილებიანი ფარდებს გარეცხავდა და ძირისძირობამდე დაასუფთავებდა მთელი კედლის გასწვრივ გაჭიმულ ნიგნების თაროს. კიდევ ერთი ტრადიცია ჰქონდა დეკემბრისთვის: ახალ წლამდე ყაისნალით ორ ახალ ბალიშს ქსოვდა. ძაფების ფერებს დუდასა და თომას არჩევინებდა მალაზიამი. დივანზე უკვე იმდენი ზოლიანი ბალიში ეყარა, ჭერს მისწვდებოდა, ერთმანეთზე თუ დალაგებდი. ბიჭები საყვარელ ვაშლის ნამცხვართან ერთად ანაბელი საახალწლო ორცხობილებსაც აცხობდა. ზოგს ციყვის ფორმა ჰქონდა, ზოგს — გირჩის და ზოგსაც — ფიფქის.

არა და არ ყრიდა ნამდვილ ფიფქებს. სახლს კი მაინც საზეიმო ელფერი ჰქონდა. ვანილისა და შემწვარი ქათმის სურნელი ერთმანეთში ირეოდა. მაგიდას ნითელი სუფრა ეყარა. ბიჭები სადღესასწაულო ვაშლამს ელოდნენ და ახალ წლამდე დარჩენილი საათები თომას არჩეული ფილმის ყურებაში გაჰყავდათ. ანაბელი მწვანე კაბას იცვამდა. ეს კაბა მხოლოდ ახალი წლის შესწავლად ეცვა ხოლმე და ძალიან უხდებოდა მის ჭკაბისფერ თვალებს. ბიჭებს მოსწონდათ დედა და ეჩვენებოდათ, რომ ამ მწვანე კაბით ანაბელი საოცრად ჰგავდა ოთახის კუთხეში საზეიმოდ მორთულ ნაძვს.

საათის ისრები თორმეტს რომ მიუახლოვდებოდნენ, დუდასა და თომას უცნაური, ამაღლებული განწყობა ეუფლებოდათ, ანაბელი კი ფანჯარასთან დგებოდა — გაფაციცებული — თითქოს ელფების მეჯლისიდან სწვდებოდა ხმები. როცა ბიჭებისკენ შემობრუნდებოდა, ისეთი გაციკროვნებული სახე ჰქონდა, დუდასა და თომას ბევრჯერ გაუფიქრიათ, რომ დედა გრძნეული იყო და მას მოჰყავდა ახალი წელი თავისი დაჟინებული ფიქრით.

გათენდებოდა და უკვე ახალი წელი იდგა. ბიჭები საჩუქრებს შეესეოდნენ და ისიც იცოდნენ, რომ მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში მათ სახლში ათასგვარი მათრობელა სურნელი შეენაცვლებოდა ერთმანეთს. ანაბელს ახალი წლის პირველი კვირის ყველა მომდევნო დღისთვის საგანგებო კერძი ჰქონდა. ბალიშებს ხომ ქსოვდა და ამ ტრადიციასაც არაფრით დაარღვევდა. თეზი ფორთოხლით, ხაჭოსა და პიტნის ღვეზელი, კარტოფილის ბურთულები ყველის სოუსით, მუსი მოცხარით — ამ უცნაურ კერძებს წლიდან წლამდე მოუთმენლად ელოდნენ ბიჭები. მერე სასეირნოდ გადიოდნენ სადღესასწაულო ქალაქში. სახლში გვიან, გათოშილები და მხიარულები ბრუნდებოდნენ.

ერთი-ორი ამაფორიქებელი კვირა და ისევ რუტინა ჩამოდებოდა. სწავლა იწყებოდა. დუდასა და თომას საშინაო დავალებები მოჰქონდათ სახლში, ანაბელს — გასასწორებელი რვეულები.

ღამ-ღამობით ყინავდა. ყვავილებიანი საბნის ქვეშ მაგრად ეხუტებოდნენ ერთმანეთს და ისე კითხულობდნენ ნიგნებს.

დიდი დილით ანაბელი ფარდებს რომ გადახსნიდა, მზე არსად ჩანდა. ბიჭებიც აღარ უჩიოდნენ აბეზარ სხივებს. ანაბელი სწრაფად გამოაღებდა ხოლმე ფანჯარას, მუჭით ხორბალს დაყრიდა და სწრაფადვე დახურავდა.



ნიგნი

გურამ ბათიაშვილი

# სახეები და სიტუაციები



ხშირად ნამიკობხავს, ადრეულ წლებში, რასაკვირველია, მსმენია კიდეც, ამერიკელები ნიგნი არ ეტანებიანო. ამაზე ისე დაბეჯითებით წერდნენ, ლაპარაკობდნენ, თითქმის მჯეროდა. თუმცა, ვკვირობდი: თუ ნიგნი უბრადა არიან, როგორ შეიძლება ასეთი დიდი მწერლები, თანაც ამდენი ჰყავდეს ასეთი ხანმოკლე ისტორიის ახალგაზრდა ქვეყანას-მეთქი. მერე ამ დიდ ნაკლს უმწეო გამართლება მოვუძებნე: ტექნიკის, სამხედრო ძლიერების, ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გამომდებელი ზრუნვა და ფიქრი მთელ მათს დროსა და ენერჯიას ნთქავს-მეთქი. საბუთი, მართლაც უმწეოა, მაგრამ ასე იყო, ასე ვფიქრობდი მანამ, სანამ ამერიკის ყოფას თვალს გადავავლებდი, ასე თუ ისე გავეცნობოდი. ამის საშუალება, მოგვიანებით მომიცა და აი, როგორ: ერთობ სოლიდური ავტორიტეტული ორგანიზაცია — ამერიკის ებრაელთა კომიტეტი — ყოველ წელს მაისის ბოლოს ან ივნისის დამდეგს, ვაშინგტონში აწყობს წლიურ კრებას. ამ კრებების მუშაობაში მონაწილეობენ ყველა კონტინენტის გამოჩენილი ებრაელი მოღვაწენი. აქ განიხილება მსოფლიოს ებრაელობაში მიმდინარე პროცესების ავ-კარგი, ისრაელისა და არაბული ქვეყნების ურთიერთობა, ანტისემიტიზმის საკითხები და სხვა... მოხსენებებით გამოდიან, დებატებში მონაწილეობენ სახელმწიფოთა ადრინდელი და მოქმედი მეთაურები, მინისტრები (მეტწილად, საგარეო საქმეთა), ქრისტიანული, ისლამური, იუდეური თუ სხვა კონფესიის წარმომადგენლები. უწინარესი, ცხადია, იმის მოსმენა-გაგებაა, თუ როგორია ამა თუ იმ ქვეყნის ებრაელთა ყოფა, აბორიგენი მოსახლეობის, სიუზერენტა დამოკიდებულება მოსეს რჯულის მიმდევართადმი და ასე შემდეგ.

გადაიხილეთ შექმნილი ნიგნების საფასურს. რიგში დგომით თავგაბებრებული ადამიანების ხილვამ — რიგი კი იზრდებოდა და იზრდებოდა — გამახარა და გამოაცხადე. ესე იგი, არის ქვეყანა, არის ხალხი, რომელიც ნიგნისათვის არა მხოლოდ ფულს არ იშურებს, არამედ, ძვირფას დროს, ენერჯიას. აღარ შევყოვნდი — გეოგრაფიული მუზეუმისაკენ გავემურე, მთელი გზა ნიგნის შექმნის მსურველთა სახეები მედგა თვალწინ, მაგრამ ამ აღფრთოვანებას სხვა ფიქრიც მოსდევდა: „იქნებ, უბრალო დამთხვევაა, დაემთხვა და ხვალ ასე არ იქნება?“

რასაკვირველია, მომდევნო დღეს იმავე დროს მივადექი მე-15 ქუჩის ნიგნის მალაზიას და, შესვლა გამიჭირდა — სალაროებთან რიგში დიდძალი ხალხი იდგა. რამდენი დღეც ვიყავი ვაშინგტონში, შესვენების დროს სწორედ იმავე მალაზიას მივაშურებდი და ანალოგიური სურათი მხვდებოდა. მომდევნო წელს აშშ დედაქალაქში ჩასული, თითქოს რომელიმე ვანდასთან თუ ჯულიანთან პაემანი მქონდა და დათქმული, ისევე იმ მალაზიისაკენ გავემურე. იგივე სურათი რომ დამიხვდა, თავს გაეუბრაზდი: „იმ სისულელის როგორ მჯეროდა, თუ ხალხი ნიგნიდან არ არის, როგორ შეიძლება ასეთ ძლიერებას მიაღწიოს!“

მეტი გაოცება თურმე წინ მქონდა — უკვე თბილისში: ქუჩაზე, რომელზეც ვცხოვრობ, ავტოსახელოსნოებია ჩამსკრივებული. ზაფხული იყო, ცხელია. ერთ დღეს, შინ რომ მოვბრუნდი, ჩემი სახლის გვერდით, ავტოსახელოსნოსთან გელა ჩარკვიანი დავინახე — მანქანა მოუყვანია და შეუქმნებას ელოდა. შინ შევიბატიყვე: ამგვარ სიტუაქში მზის ქვეშ რატომ უნდა იდგეთ-მეთქი. შევედი, მუსაიფს შევუყვით. საუბარი ამერიკაზე რომ ჩამოვარდა, ზემოთ ნაამბობი გავიხსენე, ამერიკელებით აღფრთოვანება არ დამიფარავს: შემთხვევით არაფერი არ ხდება, იმიტომაც არის დიდებული ქვეყანა, ნიგნიდან რომ მეგობრობს-მეთქი.

— ეგ რა არის, გურამ, — მეუბნება ბატონი გელა, — დღეს თბილისში ბევრი ამერიკელია. ზოგი დიპლომატიურ სამსახურშია, ზოგი ბიზნესის მისდევს, ზოგიც ამა თუ იმ ორგანიზაციის წარმომადგენელია, ან უძღვება, ერთი სიტყვით, ბლომად არიან და შექმნილი აქვთ ნიგნის მოყვარულთა საზოგადოება...

— აქ, თბილისში, ამერიკელებს? — ეს საზოგადოება დაყოფილია ჯგუფებად, ჯგუფში ათამდე ადამიანია, ერთ-ერთის წევრი მეცა ვარ, თვეში ერთხელ ვიკრიბებით და ერთმანეთს უუამბობთ, ამ ბოლო თვის განმავლობაში რა ნაკითხეთ — ნაკითხულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. თუ ერთი და იგივე ნიგნი რამდენიმე ადამიანს წაუკითხავს, კარგი დისკუსიაც გამოგვდის — სერიოზული ლიტერატურული კამათი, რომელიც საბოლოო ჯამში სცილდება ერთი ნიგნის თავისებურებებზე საუბარს.

ახლა მე რომ დავწერო, აშშ სიდიადე იმ დიდ ბურჟუაზიას დავს, რომელსაც ადამიანის სულში ნიგნი ქმნის-მეთქი, მაგანი, ალბათ, ჩაიქრიქილებს, ნიგნის კაცია და სხვას რას იტყვისო. ჩვენც ამ ქირქილ-ქირქილით ვეშვებით ქვევით, დაბლა და დაბლა!

დავაკვირდეთ, შევადართო ჩვენი დღევანდელი ყოფითი ურთიერთდამოკიდებულების კულტურა 30-40 წლის წინან-

დელს. უფრო ადრინდელ ადამიანურ ურთიერთობებზე აღარაფერს ვამბობ. ჩემი დაკვირვებით, ერთობ გულსაკლავი მდგომარეობა, სწორედ იმ ხნისაა, რა ხნისაც ნიგნისადმი ჩვენი გაუცხოება გახლავთ. ნიგნისაგან განდგომა ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი დღევანდელი ყოფისა.

## ბერძენი ბუნე

რა უთვისტომოდ ზის ქალაქი —  
ოდესლაც ასე აყვავებული,  
ხალხში ასე სახელგანთქმული  
ქალაქთა ქალაქი ხარკს იხდის ახლა.

ეს „იერემიას გოდება“ გერმონ ბენ ორენისა, იგივე გერმონ ნიუშაშვილისა, უშუალოდ დედნიდან თარგმნილი და, ვგონებ, საკმაოდ რიგიანადაც.

საქართველოს ებრაელობის ისრაელში რეპატრაციის ერთი დიდი სიკეთეც მოჰყვა თან: იქ დასახლებული ქართველი ებრაელები დედნიდან თარგმნიან იმ უზარმაზარი კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშებს, უბრაულ ხალხს თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში რომ შეუქმნია. ამის გამოისობით, დღეს ქართულ ენაზე გვაქვს სწორედ დედნიდან თარგმნილი დავითის ფსალმუნთა, ძველი აღთქმის, სოლომონის იგავთა რამდენიმე თარგმანი. რასაკვირველია, ყოველი თარგმანი სრულყოფით ვერ დაიკვეხნის, ზოგიერთი კი ჩინებულია.

სამწუხაროა და გულიც კი მწყდება, რომ ქართველი მკითხველი ამ თარგმანებს თითქმის არ იცნობს — მისთვის უცნობია რეპატრირებულმა ქართველმა ებრაელებმა რაოდენი შრომა გასწიეს კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშები რომ ქართულ ენაზე აუღერებლიყო. ყოველი მათგანი ისრაელში გამოიცა. საქართველოში ახლო მეგობარ-ამხანაგებს უგზავნიან ან იქ სტუმრად ჩასულთ თუ მთავრებულნი. ჩვენს გამომცემლობებს კი არა-რა ნაბიჯი არ გადაუდგამთ, რომ ეს თარგმანები ქართველი მკითხველისათვისაც გამხდარიყო ხელმისაწვდომი. ალბათ, ამით გახლავთ განპირობებული ის, რომ საქართველოში ხელმძღვანელები არაფერს აუღია კალამი ამ თარგმანების ღირსება-ნაკლოვანებათა წარმოსაჩენად. ყველა ეს თარგმანი ხომ ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის შემადგენელი ნაწილია და თუ ვინმე ასე არ ფიქრობს, ძალიანაც ცდება. არადა, უშუალოდ ძველი ებრაული ენიდან თარგმნილი კარგა ძალი ლიტერატურა დაგროვდა. ეს თარგმანები თავის ობიექტურ, პროფესიულ შემფასებელს ჯიუტად ელის.

და რაც უფრო გახანგრძლივდება ეს მოლოდინი, მით უფრო არასასურველი იქნება შედეგი. დღეს და სწორედ ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ უნდა შეფასდეს რეპატრირებულ ქართველ ებრაელთა წვლილი ქართული მთარგმნელობითი სკოლის განვითარებაში. იოლად გასაგები მიზეზების გამო, ამ საშურ საქმეს ვერ ითავებენ ისრაელელი ლიტერატორები. რუსული რეალურია იმის საფრთხე, რომ ძველებთან დაკავშირებით ქართულ ენაზე თარგმანება ნელ-ნელა მინელდეს, იქნებ, სულაც შეწყდეს. ამ ძალიან არასასურველ, მაგრამ მოსალოდნელ შედეგს, ორი მიზეზი განაპირობებს: პირველი და მთავარი ის გახლავთ, რომ მთარგმნელთა ეს თაობა უკვე ასაკოვანია

— მათი რესურსები, ბუნებრივია, იწურება. მეორეც: დღემდე თარგმნილი ლიტერატურისა და მთარგმნელებისადმი ქართული ლიტერატურული სამყაროს უყურადღებობა — არავინ დაინტერესებულა, მსოფლიო შედეგები ქართულ ენაზე როგორ გამოდის, იჭერს თუ არა ეს თარგმანები ადგილს ქართულ მთარგმნელობით სივრცეში, ან შემოდის თუ არა იგი საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების არეალში. უკვე თარგმნილი ლიტერატურისა და მთარგმნელებისადმი ამგვარი გულგრილობა სათუოს ხდის, დაინტერესდება თუ არა მომავალი თაობა ამგვარი ლიტერატურის ქართულად გადმოღებით.

გერმონ ბენ ორენი-ნიუშაშვილი ერთ-ერთია იმათგანია, ვინც ქართულ კაზმულ-სიტყვაობას დედნიდან თარგმანებით ამდინდრებს, მაგრამ ამჯერად მინდა ვისაუბრო არა მის თარგმანებზე, არამედ ერთ მოთხრობაზე: ახლახან ისრაელში გამოიცა ლამის რვაასგვერდიანი „ქართველ ებრაელთა პროზა“, სადაც შესულ ზოგიერთ ნაწერს შორეული კავშირი აქვს პროზასთან. კრებულში ყურადღება მიიქცია გერმონ ბენ ორენის მოთხრობამ „აბოენი ნერგი“. არა-რა სტილისტური, გნებავთ, სიუჟეტის აგების ნოვაციებით ეს მოთხრობა არ გამოირჩევა, მაგრამ „აბოენი ნერგი“ მაინც გამახსოვრდება ავტორის მისწრაფებით, ყოფა ასახოს შეუღალაზებლად, ეგ ზალტირების გარეშე, რაც ამ ბოლო ხანს დაჰკრავს ქართულ-ებრაელ ურთიერთობაზე საუბარს. მაგანი და მავანი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ეს ორი ერი იმის ფიქრში ათენებდა და აღამებდა, ერთმანეთისათვის როგორ ეამებინათ — ეს ორი ერი ცხოვრობდა ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებით და ეს ჩვეულებრივობა, აუმიღვრეველი ყოველიველითაა ქმნიდა ჩინებულ ფონს. საუკუნეობრივი ურთიერთობა სულაც არ მოიცავს „მაკოცე და გაკოცებ“ სულისკვეთებას. ცხოვრებას ყველაფერი ახლავს: ავიც და კარგიც, საამოც და უამურიც, საბა კლდიაშვილის მამაცობაც და „სისხლის შირის“ სამაგელი სასამართლო პროცესებიც. გერმონ ბენ ორენის მოთხრობის მთავარი მახასიათებელი მისი ცხოვრებისეულობაა. ავტორი ყოფას ასახავს ისე, როგორც სოფელმა დაიმახსოვრა.

ამ მოთხრობამ გამახსენა ნიუ-იორკში საქალაქო ბიბლიოთეკის წინ, ვგონებ, მეექვსე ქუჩის ტროტუარზე განფენილი ამერიკელ მწერალთა ვარსკვლავები, რომელიც მოიცავს მწერლის პორტრეტს, დაბადებისა და გარდაცვალების წლებს და ერთ ფერაზს მისი ნააზრევინიდან. ერთ-ერთი მწერლის, სამწუხაროდ, მისი გვარი გადამავინდა და ველარც ჩანანერებში ვიპოვე, ვარსკვლავზე ამოკვეთილია: „პროზა არის ამბავი“. დიახ, ამბავია წარმმართველი დავით კლდიაშვილისა თუ ალექსანდრე ყაზბეგის, შიო არაგვისპირელისა თუ ჭაბუკ ამირჯიბის თხზულებებში. ცხადია, ამბის თხრობის ნიჭი, გადმოცემის ფორმა ძალიან მნიშვნელოვანია — მკითხველი ფინალამდე ამბავს მიჰყავს.

„აბოენი ნერგი“ გვიდასტურებს მოხმობილ მოსაზრებას — აქ მთავარია ამბავი. ავტორი გვიამბობს სოფელ ბრეთის ებრაელთა ყოფაზე: ბრეთელი ახალგაზრდობა თავს არიდებს დაოჯახებას — არ სწადიათ, ოჯახი შექმნან ქალთან, რომელსაც პირველ დამეს ბატონი — თავადი ავალიშვილი — ჩაიგორებს ლოკინში; ესე იგი, ისარგებლებს პირველი ღამის უფლებით. ბატონყმობის ხანის ეს წესი დღეს მწარე ღიმილის მომგვრელია. ღიმილი პირზე შეგვეყვინება, როცა კიდე ერთხელ მოვავლებთ თვალს და გავიაზრებთ, თუ რა გზა გამოიარა კაცობრიობამ — ძალადობა, ადამიანის ღირსების ფხეკვამ გათევა გახლდათ ყოფის განუყოფელი ნაწილი. თავად ავალიშვილის ავტორცობას ანტისემიტიური სულისკვეთებით ვერ ახსნი, ვერც წმინდა ნიგნის — მოსეს ხუთწიგნეულის გრაგნილის შემოსავლის წყაროდ ქვეყნის მიზნით ებრაელთაგან მიტაცებას. შესაძლოა, ამ უგვანო აქტის ჩემი ამგვარი შეფასება ბევრმა არ გაიზიაროს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მოსეს ხუთწიგნეულის გრაგნილის მიტაცება არა ანტისემიტიური სულისკვეთების, დანის-ლული ინტელექტისა და მამონის გაიდევალების დასტურია. თავად ავალიშვილს ბრეთის მოსახლეობა — ქართველი თუ



ებრაელი, იმ არსებებზე მიაჩნია, რომ-  
ლებსაც არა-რა უფლებები არ გააჩნიათ,  
თავადის ნებისმიერი სურვილის შესრულე-  
ბა კი მათი ოდინდელი მოვალეობაა — ამ-  
იტომ ისე მოქცევა, როგორც მოესურვე-  
ბა. ეს მოცემულობის ერთი მხარეა. მეორე  
და ჩემთვის მნიშვნელოვანი, რაც გერმონ  
ბენ ორენმა კარგად წარმოაჩინა, გახლავთ  
ებრაელთა სახე — ეს შეუპოვარი და სა-  
მართლიანობის მაძიებელი ადამიანები.  
ჩემთვის ერთობ მოულოდნელ მათს  
წინააღმდეგობას გერმონ ბენ ორენი  
ექსპრესიული თხრობით წარმოაჩენს.

რატიონალური მოლოდინებს?  
სამწუხაროდ, ჩვენი ებრაელობა ამკარ-  
ად გამოხატულ, საჯარო წინააღმდეგობას,  
ხშირად გვერდს უქცევდა და უქცევს —  
ადამიანთა ბოროტ ქმედებებს უზენაესის  
განსასჯელს ხდის: ის გაცემსო პასუხს  
ყოველგვარ უგვანობას. გერმონ ბენ ორენ-  
მა კი უგვანობასთან ბრძოლა ადამიანების  
დაუყოვნებლივ, სადღესო საქმედ აქცია.  
ეს ზნეობრივი და პირდაპირი გზაა კლა-  
სობრივი, სოციალური უთანასწორობის  
ძლევისა. ამას ნაწარმოების ფინალიც  
ადასტურებს.

მთავარი: გერმონ ბენ ორენმა წარ-  
მოგვიდგინა ქართველი ებრაელობის  
ყოფის ერთი მონაკვეთი. ეს კი მნიშვნელო-  
ვანია.

სიტყვა

ნამდვილი მწერალი ფრანკფურტშიც  
ნამდვილი მწერალია.

მკითხველს, ალბათ, არ გაუჭირდება  
იმის გახსენება, თუ რომელი მოსაზრების  
პერიფრაზია ეს სიტყვები. დიახ, სწორედ  
ასეა: თუ ბოროტი კაცი დანიაშიც ბორო-  
ტია, ნამდვილი ქართველი მწერალი ფრანკ-  
ფურტშიც ნამდვილი ქართველი მწერა-  
ლია, რადგან თხემით ტერფამდე მწერა-  
ლია. აკა მორჩილაძე რომ სწორედ ასეთია,  
თუ ყველამ არა, უმრავლესობამ ნამდ-  
ვილად იცის.

ზემოთმხმობილი შექსპირის სტრიქო-  
ნის და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი პერი-  
ფრაზისაც, უტყუარობაში კიდევ ერთხელ  
დამარწმუნა ფრანკფურტში წიგნის საერ-  
თაშორისო ბაზრობაზე აკა მორჩილაძის  
გამოსვლამ. აკა მორჩილაძის სიტყვის არსი  
გახლდათ ქართული მწერლობის, ესე იგი,  
ქართული სულიერების წარდგენა გერ-  
მანელი თუ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული  
მწერლების, გამომცემლების, მკითხველთა  
წინაშე.

დღევანდელ საქართველოში ბევრი  
ისეთი პიროვნება მეგულის, ქართული  
სულიერების ღირსეულად წარდგენა რომ  
ძალუძს. იქნებ, უკეთესადაც წარმოაჩენდა  
მის სიღრმე-სიღიადეს, მაგრამ ეს არ იქნე-  
ბოდა მწერლის სიტყვა, მწერლისა, რომელ-  
მაც ბევრი იცის, ბევრი სათქმელი აქვს, მა-  
გრამ სიტყვების ავტომატურად „მსროლე-  
ლი“ ორატორი არ გახლავთ — პაუზებით  
ლაპარაკობს, სიტყვას ჯერ გემოს უსინ-  
ჯავს, ზომავს, ენის წვერზე სწონის და ისე  
წარმოთქვამს. და ეს პაუზები, გახშირებუ-  
ლი სუნთქვა, ღიმილი, ზოგჯერ მწარეც,  
რადა მე მერგუნა ეს საქმეო, ყოველი სი-  
ტყვის გაზომვა-ანონვა, ხდის მის ნაამბობს  
დამაჯერებელს, სარწმუნოს. ცხადი ხდე-  
ბა, რომ მისი სიტყვა შთაბეჭდილებას  
ახდენს არა მხოლოდ მასპინძლებზე, ჩვენ-  
ზე და იმათზეც კი, ვისაც მიაჩნდა, მე უკეთ  
წარმოვჩენდი ქართულ სულიერებასაო.

და იკვთება, ცხადი ხდება ერთი მთა-  
ვარი მომენტი: ლაპარაკობს შემოქმედი,  
მწერალი და არა რეზონირი მოღვაწე.  
მისი საუბრის ფორმა, ინტონაცია, გა-  
მომეტყველება ადასტურებს: ძალიან კარ-  
გად იცის ის, რაზეც ლაპარაკობს; არა მხ-  
ლოდ ცოდნა, დიდი სიყვარული ალაპარ-  
აკებს ასე. ყოველი სიტყვა სიყვარულით  
არის გამსჭვალული.

ამ ჩემს ჩანაწერს ნაკითხავს მავანი და  
არ გამოვრიცხავ, თუ არ შესძახებს,  
გაიფიქრებს მაინც: ასეთი განსაკუთრებუ-  
ლი რა იყო, ასე რამ ადაფრთოვანა აკა მორ-  
ჩილაძის გამოსვლითაო?

აკა მორჩილაძის სიტყვის გამო მკითხ-  
ველისადმი სიხარულის გაზიარების მთა-  
ვარი მიზეზი მისი იმდღევანდელი გამოსე-  
ლაა, მაგრამ ერთი ვინმე მწერლის გამოს-  
ვლასაც რომ ვისმენდი, აკა მორჩილაძის  
მიმართ პატივისცემა კიდევ უფრო გამი-  
ძლიერდა.

იქ — აკასთან — ყველაფერი ნაღდი  
იყო, რადგან ცოდნითა და სიყვარულით  
გახლდათ გასხივოსნებული.

აქ?  
საკუთარი პოზიციის ჩვენზე თავსმოხ-  
ვევის, დამკვიდრების ცდა. საკუთარი  
პოზიციის დამკვიდრებაში ცუდი რა არის,  
ან რატომ უნდა იყოს? ჩვეულებრივი ამ-  
ბავია: ადამიანები ესწრაფვიან საკუთარი  
მოსაზრება, პოზიცია სხვებისთვისაც მის-  
ალები, საყოველთაო გახადონ და მომავ-  
ლის გზა ამითაც გაიკაფონ. მაგრამ...

აკა მორჩილაძე ერის შემოქმედებით  
ცხოვრებაზე, სულიერებაზე ლაპარაკობ-  
და. გვაუწყებდა, როგორ ცხოვრობდა ერი,  
რა დაგვიტოვებს წინაპრებმა.

ეს მეორე ერის უღირსობაზე, ერის ლა-  
ტინიანობაზე ლაპარაკობდა. მსმენელთ-  
აგან ვინ ირწმუნებდა და ვინ — არა, მას  
ალარ ეკითხებოდა. ჩვენთაგან, ალბათ,  
არავინ; უცხოთაგან, იქ შეკრებილ გერ-  
მანელთა, თუ სხვათაგან რატომ არ უნდა  
ერწმუნათ — მწერალიაო, ფრანკფურტში  
იმისთვის ჩამოიყვანეს, საქართველოზე,  
ქართველობაზე ისაუბროსო.

იქ, აკა მორჩილაძესთან, ერის სული-  
ერ სამყაროში ერთობ განცხრომილად  
ვგრძნობდი თავს — ეროვნული საუწყის  
ასე ფართო მასშტაბით, მთელი ევროპის  
თვალშესადგამად წარმოჩენა, სიხარულის  
შეგრძნებას უთუოდ ქმნიდა.

აქ კი დაღრეჯილი შევცქერი ორა-  
ტორს. არ მომწონს რასაც ამბობს, არც  
ვეთანხმები, მაგრამ თავად ასე ირჩია, ასე  
უჯობს. ავუმხედრდე? ავუმხედრდები, მა-  
გრამ მე ხომ ვიცი, ამის მომხრე ხარო, იმას  
უჭერო მხარსო, შემძახებს. არადა, ჩემი  
საქმე, ის, რისი კეთების სურვილი მაქვს და  
ვაკეთებ კიდევ, უფრო მნიშვნელოვნად  
მიმჩინა, ვიდრე პეტრეს მომხრეობაა,  
გინდაც — პავლესი. მაგრამ დღეს, როდე-  
საც ქართული კულტურა ასე დიდებულად  
წარმოჩინდა, ერთი ვინმე მწერალი ცდი-  
ლობს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე  
თავშეყრილ მიმდობ მსმენელს აუწყოს:

— 2008 წელს, როცა რუსეთის არმია  
თბილისს უახლოვდებოდა, თბილისელთა  
ერთი ნახევარი ქალაქიდან გარბოდა, მე-  
ორე ნახევარი კი რესტორნებში იჯდა და  
რუსთა მობრუნებას აღნიშნავდა.

უნდა ნამოვხტე და შევძახო: რატომ,  
რისთვის! მაგრამ არა, არ ივარგებს, აქ  
ამის ადგილი არ არის, თუძცა... სწორედ  
აქ უნდა ითქვას სიმართლე, ამ ხალხს უნდა  
გავაგებინო, რომ არც ნახევარი თბილისი  
გარბოდა, არც მეორე ნახევარი სვამდა  
ივან ივანიჩის დაბრუნების სადღეგრძე-  
ლოს. იქნებ, რომელიმე პარტიული ფუნქ-  
ციონერი, მართლაც გარბოდა ქალაქიდან,  
მაგრამ ამ ხუთს, ათს, თუნდაც ასი იყოს,  
ქართველი ხალხის სულისკვეთებასთან რა  
ხელი აქვს? მათ ისე იცხოვრეს, თვალს  
უნდა მიეფარნონ, ხალხი კი ჩემსავით პირ-  
გამეხებული იჯდა ტელევიზორთან და

სუნთქვაშეკრული ელოდა ახალ ინფორმა-  
ციას.

ნახევარი თბილისი ქალაქიდან გარბო-  
და, მეორე ნახევარი კი რესტორნებში  
იჯდაო...

ვერც ნამოვხტი, ვერც შევძახე. უხმოდ  
ვეკითხებოდი: რატომ, რისთვის?

მეფის გული სიხარულით ეხსება

ალექსანდრ სოლჟენიცინმა ორ-  
ტომეულში — „ორასი წელი ერთად“ —  
რუსეთში ებრაელთა ცხოვრების ავ-კარ-  
გი განიხილა. პირველ ტომში საუბარია  
იმაზე, ებრაელობამ რაოდენი სიკეთე მოუ-  
ტანა რუსეთს, როგორ წასწია წინ ამ ქვეყ-  
ნის ეკონომიკა, მეცნიერება. აამაღლა  
კულტურა, გაზარდა ხაზინის შემოსავალი.  
მეორე ტომი რუსეთის ისტორიაში  
ებრაელთა ნეგატიური როლის წარმოჩე-  
ნას ეძღვნება. მწერალი მოთქვამს,  
ებრაელობა ხელმწიფე-იმპერატორს  
ებრძოდა, იმპერიის დასამხობად თავგა-  
მოდებული იღწვოდა, მიზანსაც მიაღწია —  
იმპერიაც დაგვიშალა და „მაგილო მეფეც“  
ხელიდან გამოგვაცალაო.

ნიკოლოზ მეორისა და ებრაელობის  
არცთუ სასიხარულო ურთიერთობაზე  
ადრეც წამიკითხავს. ალექსანდრ სოლ-  
ჟენიცინის მოსაზრებას კი ორი მიზეზის  
გამო არ ვიზიარებდი. პირველი: ადრეულ  
წლებში გვასწავლიდნენ, ბევრთად ჩაგვძა-  
ხოდნენ, დიდი ოქტომბრის სოციალის-  
ტური რევოლუცია ბოლშევიკური პარტი-  
ის მეთაურობით რუსეთის სახელოვანმა  
მუშათმა კლასმა მოახდინა, საძულველი  
მეფის ხელისუფლება მან გააცამტვერაო.  
ეს ლოგიკურადაც მიმაჩნდა, რადგან მუ-  
შათა მოძრაობა დიდი ძალაა.

მეორე: „პერესტროიკის“ შემდეგ,  
როცა რევოლუცია ნეგატიურ მოვლენად  
შეფასდა და რევოლუციონერები სათრე-  
ელ-საგინებელნი გახდნენ, რევოლუცია  
იულა-მასონებმა მოაწყესო. ვიდრე რე-  
ვოლუცია მარწყვის ტორტი იყო, მოზრდილ  
ნაჭრებს გადაიღებდნენ, როცა ავად სახ-  
სენებელი გახდა, ეგ ყველაფერი  
ებრაელების ხრიკებიაო. ალექსანდრ სოლ-  
ჟენიცინიც ამ გეზს მისდევს.

ებრაელობა სხვა სახელმწიფოებშიც  
ცხოვრობდა, ცხოვრობს. ზოგიერთ ქვეყ-  
ანაში არსებობის გაცილებით ხანგრძლივი  
ისტორია აქვს, ვიდრე რუსეთში. ამ ქვეყ-  
ნების ანტისამთავრობო მოძრაობაშიც  
მონაწილეობდნენ, როგორც მოსახლეო-  
ბის ნაწილი, მაგრამ სახელმწიფოს წგრე-  
ვის კი არა, სტრუქტურული დახვეწის  
ლიბერალური ლოზუნგებით გამოდიოდ-  
ნენ. ამიტომ თან მდევდა კითხვა: ასე რა-  
ტომ, რისთვის უნდა ამხედრებულიყო  
ებრაელობა, ესოდენი წინააღმდეგობის  
მიზეზი რა უნდა ყოფილიყო?

დევნილობაში, უცხოთა მიწაზე მცხ-



ოვრები ერის სტაბილური ყოფის უსა-  
ფრთხოების გარანტი კანონიერების  
დაცვაა. უცხოს არაფერი და არავინ იცავს  
გარდა დამხდური ერის ზნეობრიობისა და  
კანონისა. კანონიერების, სტაბილურობის  
გარანტი კი მეფის ინსტიტუტი გახლდათ.  
ყველაფერი იქიდან მოდის, ყველაფერი იქ  
იღებს სათავეს. და ებრაელობა ამას  
დაუპირისპირდა? მაშასადამე, ათასგან  
ნაკითხული, მოსმენილი „ბეი ჟიდოვ სპა-  
საი როსსიიუც“ იქიდან მოდის? ცხადია.  
რუსეთში „მაგილო მეფე“, თვითმყრობე-  
ლი იმპერატორის კი არა, აგერ რაიკომის  
ინსტრუქტორის პოზონდრიაც კანონი იყო.

ყველაფერი ეს რომ მახსენებდა, ამ სა-  
კითხზე ჩემს მოსაზრებას წყალი უდგება  
— ალექსანდრ სოლჟენიცინისაკენ ვიხრე-  
ბი.

მინდა, მკითხველი ამთავითვე  
გავაფრთხილო: ის, რასაც ქვემოთ დავწ-  
ერ, ამომწურავ პასუხს ვერ გაცემს კითხ-  
ვას, თუ რით იყო განპირობებული  
ებრაელობის ესოდენ ნეგატიური დამოკ-  
იდებულება მეფის ტახტისადმი. ეს მხ-  
ოლოდ დეტალებია. მოზიკა კი დეტალებ-  
ისაგან შესდგება.

ცნობილია: ავადსახსენებელი „სიონ-  
ის ბრძენთა ოქმები“ — ოპუსი — რომელ-  
მაც იმპერიის ებრაელობას მრავალი  
ტკივილი განაცდევინა, რუსეთში შეიქმ-  
ნა. წიგნი დაიბეჭდა თუ არა, იმპერატორ  
ნიკოლოზ მეორეს მიაჩნო — ენადათ,  
მეფე „ჟიდების გამხრწნელი“ ზეგავლენის-  
აგან დაეუფლიათ; შიშობდნენ, იმპერა-  
ტორი „ჟიდო-მასონების“ გავლენის ქვეშ  
არ მოქცეულიყო. როგორც ნიკოლოზ  
მეორის ოჯახთან მეტისმეტად დაახლოე-  
ბული რასპუტინის თანამემწე და მდივანი  
არონ სიმანოვიჩი თავის ნაკლებად სან-  
დო წიგნში „რასპუტინი ი ევრეი“ გვაუწყ-  
ებს, ამის საშიშროება არსებობდა. ნი-  
კოლოზ მეორე „ოქმებს“ დიდი ინტერეს-  
ით კითხულობდა — აღფრთოვანებული  
გახლდათ მისით. არშიაზე წაუნერია  
კიდევ: „რაოდენ ღრმა აზრის მატარებე-  
ლი წიგნია!“ თავისი მოსაზრება შინაგან  
საქმედა მინისტრ სტოლიპინს რომ გაუ-  
ზიარა, მინისტრი გამოუტყდა: ეგ ოქმები  
ჩვენი „ოხრანკის“ მიერ გახლავთ შედგე-  
ნილი, თავიდან ბოლომდე ნაყალბეაო.  
მეფემ ეს რომ შეიტყო, „რევოლუციო-  
ნერებისა და ებრაელობის წინააღმდეგ“  
საბრძოლველად მისი გამოყენება აკრძა-  
ლა. ფორმულირება ასეთი გახლდათ:  
„ოქმები აიკრძალოს. არ შეიძლება სუფ-  
თა საქმე ჭუჭყიანი საშუალებით დაიცვა!“  
მისი იმპერატორობითი უდიდებულესო-  
ბა მართალია — შეუძლებელია, წმინდა  
საქმე ჭუჭყიანი ხელებით აკეთო.

ახლა ის ვიკითხოთ, თუ რა არის „სუფ-  
თა საქმე“; ისიც აქვე ვიკითხოთ, „ჭუჭყიანი  
საშუალება“ რა არის, ესე იგი, ვის აქვს  
ჭუჭყიანი ხელები.

„სუფთა საქმე“ რევოლუციონერებთან  
და ებრაელობასთან ბრძოლაა, ებრაელო-  
ბის რბევა, ხოცვაც კი, როგორც ეს დარ-  
ბევებისას ხდებოდა. „ჭუჭყიანი საშუ-  
ალებით“ კი ისინი მოქმედებდნენ, ვინც  
„სიონის ბრძენთა ოქმები“ შეადგინა.

მისი მამა იმპერატორი ალექსანდრე  
მესამე როგორ ირჯებოდა?

ვარშავაში რომ ებრაელობა დაარბიეს,  
ხელმწიფე გუბერნატორ გუროკოს ეუბნება:  
„ებრაელებს რომ ურტყამენ, გული სიხ-  
არულით მევსება, მაგრამ არ შეიძლება  
ამის უფლება მივცეთ.“

მამა: გული სიხარულით ევსება, როცა  
ებრაელებს ურტყამენ, ხოცავენ.

შვილი: კარგად იცის, თუ როგორ უნდა  
გაკეთდეს „სუფთა საქმე“.

რალა დარჩენია ერს, რომლის რბევა-  
ანოკება მეფეს გულს სიხარულით  
უვსებს?

და ებრაელობაც აკეთებდა იმას, რაც  
უნდა გაეკეთებინა — რისკენაც მეფეთა  
ქმედება წარმართავდა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, მეფე (ალექსან-  
დრე მესამე) რატომ ვერ მისცემს იმის  
კეთების უფლებას, რაც გულს სიხარულით  
უვსებს?

არსებობს დასავლეთი! სახელმწიფოე-  
ბი მოჰყვებიან რუსეთის, მეფის ძაგებას!

გამოდის, ორი საუკუნის წინათაც ისე  
იყო, როგორც დღეს არის: რუსეთიც ისე-  
თი იყო, როგორც დღეს გახლავთ და დას-  
ვლეთიც ისევე ირჯებოდა, როგორც  
დღეს...

ოჰ, ეს დასავლეთი!..

მთარგმნელი

ხათუნა ცხადაძე

დიდხანს ელოდნენ ნიგნის მოყვარულები ქართულ ენაზე ამ რომანს. იტალი კალვინოს „თუ ზამთრის ღამით მოგ ზაური“ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საკვანძო ნაწარმოებია, რომელმაც თანამედროვე ლიტერატურის ისტორიაც შეცვალა და მკითხველის ტექსტისადმი დამოკიდებულებაც. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო, ვინ გადამოქართულდება მას. გავიგებოდა, რომ საქმეს ხელი ხათუნა ცხადაძემ მოჰკიდა, ერთ-ერთმა გამორჩეულმა მთარგმნელმა, რომლის პროფესიულ „ანგარიშზე“ უმბერტო ეკოს, ანტონიო ტაბუსისა და პიერ პაოლო პაზოლინის თარგმანებია. ლიტერატურული პრემია „საბას“ ორგანიზაციის მფლობელისთვის კალვინო გამოწვევა იყო, რადგან სრულიად განსხვავებულ ავტორთან უნებდა ურთიერთობა. მთარგმნელმა კალვინოსაც ბრწყინვალედ გაართვა თავი და არაჩვეულებრივი ნამუშევარი შემოგვთავაზა. საუბრის მთავარი თემაც ეს გახლავთ:

— მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 60-70-იანებიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი ფიგურაა და არაერთი გამორჩეული ნაწარმოები დაწერა, კალვინო ჩვენთან აქტუალური მხოლოდ 2000-იანების შემდეგ გახდა (იტალიური ლიტერატურის სპეციალისტებს და ამ დიფერენციალურ სტრუქტურებს არ ვგულისხმობ). ძირითადი ოპუსები ქართულად სულ ახლახან ითარგმნა. თქვენ როდის „აღმოაჩინეთ“ მისი შემოქმედება?

— 90-იანების ბოლოს, როცა იტალიურს ვსწავლობდი. მანამდე ამ ავტორს არ ვიცნობდი. იმ პერიოდში წავიკითხე „ჩვენი წინაპრები“ — სამი რომანისგან შემდგარი ციკლი. განსაკუთრებით „ბარონი ხეზე“ მომეწონა — ორიგინალური სიუჟეტითა და წერის კალვინოსეული, განუმეორებელი მანერით. დღემდე ჩემი საყვარელი ტექსტია. ძალიან მინდოდა თარგმნა, მაგრამ გავიგე, რომ მასზე უკვე სხვა მთარგმნელი მუშაობდა. სულ ცოტა ხნის წინ გამოცემლობა „აგორამ“ გამოსცა ტრილოგიის დანარჩენი ორი ნიგნიც — „განახევრებული ვიკონტი“ და „არარსებული რაინდი“. თითქმის ოცი წლის წინ ვთარგმნე იტალი კალვინოს ერთი პატარა მოთხრობა — „დოლარები და ბებერი ბოზები“, რომელიც ჟურნალ „კლდეკარში“ დაიბეჭდა. ეს იყო ჩემი, როგორც მთარგმნელის, პირველი ურთიერთობა ამ ავტორთან. მაშინ ვიფიქრე, რომ ოდესმე აუცილებლად დავუბრუნდებოდი. ბევრად უფრო გვიან, ვიდრე მეგონა, მაგრამ მაინც მერგო კალვინოზე მუშაობის სიამოვნება: „თუ ზამთრის ღამით მოგ ზაური“-ს თარგმნა „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობამ“ შემომთავაზა.

ეს ნიგნი, რომელიც თხოთმეტიოდე წლის წინ დედანში წავიკითხე, კალვინოს მანამდე დაწერილი ტექსტებისგან სრულიად განსხვავდება. ძალიან უცნაური, მრავალშრიანი და დამაბნეველი ნაწარმოებია, როგორც სიუჟეტის, ასევე სტილისტური თვალსაზრისით — საინტერესო ენობრივი თამაშებით, პირთა მონაცვლეობით და ასე შემდეგ. ამას ემატება მუდმივი აღმოჩენები — ყოველი წაკითხვისას ახალ დეტალებს ვაწყდები. სასიამოვნო სათარგმნი იყო. რთულიც — ავტორის ენიდან გამომდინარე.

სირთულეები რას გულისხმობთ?

— საოცარი ლექსია აქვს კალვინოს, იმდენად მდიდარი, გგონია, რომ ვერ შეძლებ ამ ყველაფრის სხვა ენაში გადატანას. სხვათა შორის, ზღაპრებსაც წერდა — იტალიური ხალხური ზღაპრები შეაგროვა და გადაამუშავა, უფრო სწორად, თავიდან დაწერა. ეს არ არის მხოლოდ ბავშვებისთვის შექმნილი ტექსტები, ალბათ, უფროსებისთვის უფრო საინტერესოა. არაჩვეულებრივი ნაშრომია ენობრივი თვალსაზრისით, ულამაზესი საკითხავი, რომელიც, უპირველესად, იტალიური ენისთვისაა მნიშვნელოვანი, რადგან ზღაპრების ვიზუალური მარაგი, სახეები, სურათ-ხატები, რომლებიც, როგორც წესი, ღარიბი, მარტივი ენით, სქემატურადაა ხოლმე ზეპირსიტყვიერებაში შემონახული და გადმოცემული, განავრცო და გაამდიდრა, ნამდვილი ლიტერატურულ ტექსტებად აქცია.

„საფრთხე ისაა, რომ ადამიანური თვისებებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს, თვალდახუჭული ხედვის უნარს, ვკარგავთ. უნარს, თეთრ ფურცელზე შავი ასობით ამოჭრილი კონტურები, ფერები, ფორმები მკაფიოდ დაგინახოთ და სახეებით, სურათ-ხატებით ვიფიქროთ. ნეტავ ორიათასიან წლებში, გაუფასურებულ, ნახევარფაბრიკატ გამოსახულებათა ეპოქაში, კიდევ თუ იქნება შესაძლებელი ფანტასტიკური ლიტერატურის შექმნა?“ — წერს კალვინო.

კალვინოს ფანტაზია ყველასაგან გამორჩეულია. „თუ ზამთრის ღამით მოგ ზაური“ ამის შესანიშნავი მაგალითია. ნიგნი ჟანრობრივად განსხვავებული ათი რომანისგან, უფრო სწორად, ათი რომანის დასაწყისისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთშია გადახლართული. ნიგნი იწყება, ყველაზე საინტერესო ადგილზე წყდება და გადადის სხვა, სრულიად განსხვავებულ ამბავში. ასეა ბოლომდე, ფინალამდე, თუმცა ამ ფინალს „დასასრულს“ მხოლოდ პირობითად თუ ვუნოდებთ. კალვინო განუწყვეტლივ უტრიალებს



ნაწარმოების შექმნის, აგების თემას. აღწერს წერის პროცესს, კითხვის პროცესს. თავიდანვე უჩვეულოა თხრობის პირიც: არც კი ვიცი, არის კიდევ მეორე პირში დაწერილი სხვა რომანი? რაც შეეხება სიუჟეტს (თუ სიუჟეტებს), რომელიც არ მთავრდება, ამაზე ავტორი თავად ამბობდა: განა აუცილებელია, რომ ამბავი დამთავრდეს იმისთვის, რომ მას ამბავი ერქვას? აუცილებელია, სიუჟეტი დასრულდეს იმისთვის, რომ ნიგნი დასრულებული იყოს? ან საერთოდ, რას ნიშნავს დასასრული? ვინ წყვეტს, სად „მთავრდება“ სიუჟეტი ან იმას, რომ ის „დაუსრულებელია“?


„ალბათ უფრო საინტერესოა, ის ვთქვა, რაც ვერ შევძელი წერაში, რაც ვერ დავიჭირე. ხანდახან დაძაბული ვფიქრობ ამბავზე, რომლის დაწერასაც ვაპირებ და მერე ვაძინებ, რომ სინამდვილეში სულ სხვა რამე მიხატვრეს: ის, რაც ჩემი სიუჟეტის მიღმა რჩება. რამე ერთი, კონკრეტული კი არა, ყველაფერი, რის დაწერასაც არ ვაპირებდი“ — წერდა კალვინო. ალბათ ამიტომაც არ ამთავრებს ამბავს? იქნებ ამით საშუალებას გვაძლევს, თავად წარმოვიდგინოთ ის, რაც ტექსტში არაა და რაც მას ყველაზე მეტად აინტერესებს?

„ყველანაირ რეალობასა და ფანტაზიას შეიძლება, ფორმა მიეცეს ნაწერში, სადაც გარეგნული და შინაგანი, სამყარო და ინდივიდი, თავს გადამხდარი და გამონაგონი, ერთ, სიტყვიერ, მასალაში იყრის თავს. თვალებისა და სულის მრავალსახიანი, მრავალფეროვანი ხილვები ასონიშნების, მძიმეებისა და წერტილების ერთფეროვნებაში ეტევა. თეთრ ფურცელზე ქვიშის მარცვლებივით ჩაბნეულ ნიშნებში ვკითხულობთ სამყაროს მრავალფეროვნებას: ნიგნის ფურცლებზე, რომლებიც სულ ერთნაირი და ამავედროულად მარად ცვალებადია, როგორც თვალისათვის თითქოს უცვლელი, სინამდვილეში კი მარად მოძრავი და ცვალებადი — უდაბნოს დიუნები.“


— ორიგინალური ხერხია მკითხველის შემოყვანა ტექსტში, რომელიც რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი და სრულფლებიანი მონაწილეა. ნებისმიერი, ვინც ამ ნიგნს გადაშლის, ავტორის მიერ შემოთავაზებული თამაშის გმირი ხდება

და სიამოვნებით მიჰყვება მის გამონვევას.

— გეთანხმებით, ესაა რომანი მკითხველზე. კითხვაზე. ტექსტი მკითხველისადმი მიმართული იწყება და მერეც, მკითხველები ყველგან არიან: აქ არის ყველა, ვისაც კი შეიძლება, რამენაირი კავშირი ჰქონდეს ტექსტთან და თითოეული მათგანი საკუთარი პერსპექტივიდან განიხილავს ტექსტს, ნიგნს. აქ არიან ნამდვილი, მკითხველი მკითხველები, რომლებიც კითხვის პროცესით ტკბებიან და არ სურთ, გადალახონ ავტორსა და მკითხველს შორის არსებული ზღვარი; არის რედაქტორი მკითხველი, რომელიც მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისითა და ჩვევით კითხულობს ტექსტს და იმ დროზე ოცნებობს, პენსიაზე რომ გავა და ამ პროცესს უწინდელი, კითხვის ჭეშმარიტი ვნებითა და ნეტარებით დაუბრუნდება; არის გამოცემელი მკითხველი, რომლისთვისაც ტექსტი, ნიგნი, საქმე, შემოსავლის წყაროა და, შესაბამისად, ტექსტთან ურთიერთობის მიზანი ნიგნის გამოცემაა; არის მთარგმნელი მკითხველი, რომელიც, ბუნებრივია, ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა. თარგმნის პროცესი, როგორც ტექსტის



შექმნის ერთ-ერთი ფორმა, ამ რომანის ცენტრალურ თემებს შორისაა. ეს პროცესი თავისთავად რამდენიმე შრედ არის „ჩაშლილი“ ნამდვილი, დედნიდან თარგმნილი, ნაწერი ტექსტი; ტექსტი, რომელიც დედნიდან ითარგმნება, მაგრამ სიტყვიერად და, შესაბამისად, მისი სხეულიც — ლექსიკური შემადგენლობა, ენობრივი სტრუქტურა და შინაარსი — ცვალებადი, მყიფე, თითქმის არარსებულა. ზეპირად თარგმნისას სიტყვები წარმოქმნისთანავე იფანტება და იკარგება. ნიგნში არის ასევე თარგმანის თარგმანი; გაყალბებული ტექსტის თარგმანი; ან სულაც არარსებული ორიგინალის ვითომ „თარგმანი“, ორიგინალი რომ გამოდის რეალობაში. პერმეს მარანა, რომელიც საკუთარ სახელებს კიმბული თუ ქიმერიული ნაწარმოებიდან იღებს და ტექსტს პოლონელი ავტორის, ტაძიო ბაკაბალის რომანად ასაღებს, სინამდვილეში ნაკლებად ცნობილი ფრანგი ავტორის ნიგნს თარგმნის, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ამ ყველაფერთან. რომანის ნაწილები ისეთ უცნაურ და იმედურედ იშლება, რომ რაღაც ეტაპზე



გავიწყდება კიდევ დეტალები. და იბნევი ველარ იგებ, სად დაიბადა თავდაპირველი ტექსტი და რას კითხულობ რეალურად.

რომანში სხვა მკითხველებიც არიან: არამკითხველი მკითხველი, მწერალი მკითხველი, აქტივისტი, კირკიტა, „ტექნიკური“ მკითხველი, ცენზორი მკითხველი და სხვები. ერთი სიტყვით, ამ ნიგნში ტექსტის ყველანაირი დაბადებაა აღწერილი: წერილობითი, სიტყვიერი, გონებრივი, ემოციური, ფსიქოლოგიური.

— თავების, იგივე „ქვერომანების“ სათაურებიც ორიგინალური და უჩვეულოა: „თუ ზამთრის ღამით მოგ ზაური“, „ციცაბო კლდედან გადაიხედავს“, „არ უშინდება ქარსა და თავბრუსხვევას“, „ჩახედავს უფსკრულს, სადაც ჩრდილები მუქდებიან“, „გადახლართული ხაზების ქსელში...“ — ეს ყველაფერი ძალიან პოეტურია.

— ესეც იმ დაუსრულებლობის გამოძახილია. სათაურები ერთი პატარა სიუჟეტით ებმის ერთმანეთს და ციკლივით იკვრება. ეს თითქოს ერთი წინადადებაა, თუმცა რამე გასაგები აზრი არც მას აქვს და ისევე დაუსრულებელია, როგორც ის დაწყებული და შეწყვეტილი ამბავი, რომელსაც ავტორი გაძლევს და მალევე გართმევს. არც ის იცი, რა ამბავს მალავს სათაურებისგან შემდგარი „ამბავი“, რაზეა, როგორ გაგრძელდება, სად დამთავრდება ან საერთოდ, დამთავრდება თუ არა. კითხვის შეწყვეტის ეპიზოდებიც საგულისხმოა: რატომ წყდება ეს ათი რომანი? პირველად ნიგნის ტექნიკური წუნის გამო; ერთხელაც იმიტომ, რომ პერსონაჟს ნიგნს ხელიდან გამოჰკლავს; შემდეგ ნიგნი სადაც იკარგება ან ერთი უთავბოლო დიზაინერი ფიზიკურად გააფუჭებს, საკუთარ ინსტალაციამი ჩააშენ-ჩაანებებს მას. ეს ამბავიც ზემოხსენებულ დაკვირვებათა ჯაჭვის გაგრძელებაა.

— ამ ნაწარმოებს ლიტერატურის კრიტიკოსები სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ — მეტარომანად, ჰიპერრომანად, პოსტმოდერნულ რომანად... რეალურად რა ტიპის ტექსტთან გვაქვს საქმე?

— მეტატექსტი თავისთავად არის, რადგან მოიცავს თხრობას თხრობაში — რაც ამ ტერმინში იგულისხმება, თუმცა კიდევ უფრო შორს — ნარატიული პროცესის მიღმა მიდის. შემოდინა ახალი პერსონაჟები, ამბები და ნიგნები ერთმანეთში იხლართება თუ ერთმანეთს ანაცვლებს, სიუჟეტში მუდმივად მონაწილეობენ მკითხველი და ავტორი. რაღაც მომენტში რეალობის შეგრძნება საერთოდ იკარგება. ვერ ხვდები, სად ხარ შენ ტექსტსა და ავტორთან მიმართებაში, რომელ შრეცა თუ საფეხურზე. ნიგნის ასეთი სტრუქტურის გამო იქცა ეს რომანი არა მხოლოდ იტალიური პოსტმოდერნის, არამედ ზოგადად — პოსტმოდერნული რომანის ერთ-ერთ სიმბოლოდ.

— ფორმისა და სიუჟეტის არქიტექტონიკით ნაწარმოები დღესაც აოცებს მკითხველს. გაცილებით მძაფრი იქნებოდა ეფექტი 1979-ში, როცა რომანი დაინერა. რა გამოხმაურება მოჰყვა ლიტერატურულ წრეებში „თუ ზამთრის ღამით მოგ ზაურის“ გამოჩენას?



# სახელად ანაბელ

დასასრული

— კალვინო თავიდანვე ექსპერიმენტატორი იყო. ენობრივი და ნარატიული ექსპერიმენტები მან ჯერ კიდევ ახალგაზრდამ დაიწყო: 60-იან წლებში პარიზში არსებობდა ჯგუფი-ლაბორატორია „ულ-იპო“, რომელიც ძირითადად ფრანგ მწერლებსა და მათემატიკოსებს აერთიანებდა. მათ შორის იყვნენ როლან ბარტი, კლოდ ლევი-სტროსი, რემონ კენო და ასე შემდეგ. იტალიელებიდან ჯგუფში მხოლოდ კალვინო შედიოდა, რომელიც იმ პერიოდში პარიზს ხშირად სტუმრობდა. ჯგუფის წევრები სხვადასხვა სახის ენობრივ ექსპერიმენტს ატარებდნენ. ერთ-ერთი გახლდათ კომპინატორიკის მეთოდი — ლიტერატურაში წმინდა მათემატიკური, პროგრამირების ელემენტების გამოყენება. სუფთად ტექნიკური სახის ექსპერიმენტები იყო, რაც ამა თუ იმ ალგორითმით ტექსტის აწყობას გულისხმობდა. „თუ ზამთრის ღამით მოგზაურის“ ერთ-ერთ ეპიზოდში პერსონაჟი ტექსტში გამოყენებული ამა თუ იმ სიტყვის სიხშირის მიხედვით ცდილობს, გაარკვიოს, რაზეა წიგნი.

კალვინოს ნაწარებს, განსაკუთრებით — ტრილოგას, მაგიური რეალიზმის მიმდინარეობასაც ამსგავსებენ, თუმცა ეს ტერმინი მწერლის სტილს ბოლომდე მიახლოებს არ შეესაბამება. მართალია, კუბაზე დაბადებულს სამხრეთ-ამერიკული „სურნელი“ დაჰკრავს, მაგრამ თითქმის შეუძლებელია მისი შემოქმედების რომელიმე მიმდინარეობის ჩარჩოში „გამომწყვდევს.“

კალვინოს თეორიული ნაშრომებიც აქვს წერის, კითხვის, ლიტერატურული ტექსტის შექმნის პროცესზე. მისი „ამერიკული ლექციები“ ერთ-ერთი ყველაზე შთაბეჭდილია, რაც კი ლიტერატურის თეორიაში წამიკითხავს. ამ ლექციებზე ჰარვარდის უნივერსიტეტის ყოველწლიური ციკლისთვის ამზადებდა, რომელსაც „ნორტონის ლექციებს“ უწოდებენ. კალვინო პირველი იტალიელი მწერალი იყო, რომელსაც ეს პრესტიჟული კურსი უნდა წაეკითხა. ლექციათა ციკლი 1986 წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ 1985-ში მწერალი მოულოდნელად გარდაიცვალა ისე, რომ ბოლო, მეექვსე ლექციის დასრულება ვეღარ მოასწრო. მოგვიანებით „ამერიკული ლექციები“ მისმა მეუღლემ გამოცაა წიგნიად. ქართულად ორი წერილია ნათარგმნი — „სისწრაფე“ და „სიმსუბუქე“, ორივე „არილში“ დაბეჭდა და ჟურნალის გვერდზე მათი ელექტრონული ვერსიაც ხელმისაწვდომია. მეორე იტალიელი, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტმა ამ კურსის წასაკითხად მიიწვია, უმბერტო ეკო გახლდათ.

— უმბერტო ეკო ის ავტორია, რომლის რომანებმაც ორგზის მოგიტანათ ლიტერატურული პრემია „საბა“. გასაგებია, რომ სხვადასხვა რანგისა და ყალიბის მწერლები არიან, მაგრამ საინტერესოა, თქვენთვის, როგორც მთარგმნელისთვის, რა სახის გამომწვევას უკავშირდებოდა თითოეულზე მუშაობა?

— უმბერტო ეკოს თარგმნის თავისებურებებსა და სირთულეზე ლაპარაკი უსასრულოდ შეიძლება. უპირველესად, ესაა თავად ტექსტების სირთულე შინაარსის თვალსაზრისით. ეკოს სწორად თარგმნა

(ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას — სწორად) დიდ დროსა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. არაფერი არ უნდა „გაგეპაროს“. ძალიან ბევრია საძებნი, საკითხავი, გადასამოწმებელი. შეიძლება უამრავი რამის წაკითხვა მოგიხდეს ერთი აზრის სათარგმნად. ინტენტი ამას ძალიან აიოლებს, მაგრამ მაინც დიდი შრომა და ძალიანსიმევა გჭირდება. „ვარდის სახელის“ შემთხვევაში ტექსტის სირთულეს ეპოქაც ემატება: შუასაუკუნეები და იმ დროში საერო თუ ეკლესიურ კონტექსტში დატრიალებული მოვლენები, შესაბამისი სტილი, ლექსიკა და ასე შემდეგ. „ფუკოს ქანქარას“ და „პრადის სასახლას“ სიუჟეტები შუასაუკუნეებს არ უკავშირდება, თუმცა ვერაფრით ვიტყვი, რომ მათი თარგმნა ნაკლებად რთულია.

კალვინოს თარგმნა სულ სხვა გამოწვევა იყო: „ძალიან მსუბუქი“, ღამის უწონო ტექსტია. იმ სიმსუბუქეს ვგულისხმობ, „ამერიკულ ლექციებში“ რომ აღწერს. ჯერ კიდევ 40-იან წლებში ჩეზარე პავეზემ ახალგაზრდა კალვინოს წერის მანერა ციყვის მსუბუქ, უხმაურო ხტუნვას შეადარა. მართლა ასეა, კალვინო ისე ნაზად ქსოვს ტექსტის სხეულს, სულ ფიქრობ, ამ სინაზესა და უწინააღმდეგობა ენაში ვერ გადაიტან: ერთსა და იმავე სიტყვებს სხვადასხვა ენობრივ სივრცეში ხომ განსხვავებული „წონა“ აქვთ. განსხვავებულია თხრობის ტემპი, დინამიკა და გამოხატვის საშუალებები მათ გადმოცემაშიც. „თუ ზამთრის ღამით მოგზაურში“ ერთი სცენაა, გინკოს ფოთლოცვენა: გინკოს ხის პანანინა, კანკალა ყვითელი ფოთლების წელი ვარდნა ღამის სიბნელეში, რომელსაც მწერალი ადამიანის სხეულში იმპულსების გადაადგილებას უკავშირებს. წარმოუდგენელი რთული დასაწერია ქართულად. მუდმივად მიშობ, რომ ისეთი ღამაში არ გამოგვივა, როგორც ორიგინალი და ეს შეგრძნება მთარგმნელისთვის დამთრგუნველია. ეკოსთან საქმე სხვაგვარადაა. მისი ნაწერი რთულია, მაგრამ იცი, მოერევი, კალვინოსთან კი არ იცი, რა გამოგვივა. ეს ზოგადად, მთარგმნელის სენი მგონია: შეიძლება, რაღაც მოგწონდეს კიდევ საკუთარ ნაწერში, მაგრამ მუდმივად ფიქრობ, რომ უკეთესადაც შეიძლება.

— რადგან ამ მწერლების თარგმნის სუბციფიკალს შევხებით, მათი პიროვნული ურთიერთობებიც საინტერესოა. როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ეკოს და კალვინოს?

— ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ, თუმცა 70-იანების დასაწყისში კალვინო უკვე მსოფლიოში აღიარებული მწერალი გახლდათ, მისი ნიგნები სხვადასხვა ენაზე ითარგმნებოდა. ამ წლებში უმბერტო ეკო ცნობილი იყო, როგორც მეცნიერი. მისი პროზა გვიანდელია — 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო წერა. „თუ ზამთრის ღამით მოგზაური“ 1979 წელს გამოვიდა და მასთან ბევრი მწერალი, მათ შორის, ეკოც, ვალშია. კალვინოს ზეგავლენა განსაკუთრებით „ფუკოს ქანქარაში“ იგრძნობა. არცაა გასაკვირი, კალვინო ერთადერთი თანამედროვე იტალიელი ავტორია, რომელიც არა მხოლოდ იტალიის, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასკოლო ქრესტომათიაშია შესული. ეკო ამბობდა, რომ რომანმა — „ბარონი ხეზე“ სამყაროს მისეულ ხედვაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. სწორედ კალვინომ წაახალისა ეკო, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრებული — „ღია ნაშრომი“ დაეწერა. ეკოსა და კალვინოს რემონ კენოს თარგმნაც აკავშირებდა. ბევრი მკვლევარი ამ ორი ავტორის ბორხესთან მჭიდრო კავშირზეც ლაპარაკობს. იმაზე, რომ ბორხესის უსასრულო ბიბლიოთეკები, ფანტასტიკისა და კომბინატორიკისადმი სიყვარული ორივესთვის შთაბეჭდილი მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ეკოსა და კალვინოს კავშირზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებასა თუ ურთიერთზეგავლენაზე ბევრი დაწერილია. რამდენიმე წლის წინ, როცა ეკო ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ტრონტოს უნივერსიტეტმა საგანგებო კონფერენცია ჩაატარა სახელწოდებით — „რიზომატული ურთიერთობები. ეკო და კალვინო: ორი გადაჯაჭვული ცხოვრება“ რომლის მასალები ცალკე კრებულიად გამოიცა.

კალვინოს ქართულად ძალიან დააგვიანდა, მაგრამ მიხარია, რომ ითარგმნა. „უხ-

ილავი ქალაქებისა“ და „მოგზაურის“ გარდა, მკითხველს მშობლიურ ენაზე უკვე ტრილოგიის ნაკითხვაც შეუძლია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, ვინც იტალიურ ლიტერატურას ეუფლებოდა.

— დღესდღეობით როგორი ვითარებაა, რამე ხომ არ შეიცვალა იტალიელთა ლიტერატურულ გემოვნებაში, ძველებურად აფასებენ ამ მწერალს?


— ამაზე ლაპარაკი გამიჭირდება, არა მგონია, კომპეტენტური ვიყო. მაგრამ ერთი უეჭველია, იტალი კალვინო არის ავტორი, რომელიც გემოვნების მიღმაა. თითქმის ვერ ნახავთ იტალიელ მკითხველს, რომელსაც კალვინო არ უყვარს. ის უდიდესი ავტორიტეტია მსოფლიოს ლიტერატურული საზოგადოებისთვის. გორვიდალი ამბობდა, სადაც კალვინოა, იქ არის ლიტერატურა. გულდასაწყვეტია, რომ შემოქმედებითად აქტიური და ნაყოფიერი ასაკში გარდაიცვალა, როცა კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. სულ ახალგაზრდამ მოიპოვა ის გავლენა და სიყვარული, რაც დღემდე მოჰყვება და იტალიელების ლიტერატურული გემოვნებაც და მისი საზომიც, ალბათ, საგრძნობლად შეცვალა. კალვინო მუდმივად ფიქრობდა და წერდა ენაზე, მის ანწყობზე, მომავალსა და დანიშნულებაზე, მხატვრული ლიტერატურის ბედსა და მომავალზე.

„ლიტერატურაა ის ალტემული მინა, სადაც ენა თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას უბრუნდება. ხანდახან მეჩვენება, რომ სახადი შეეყარა კაცობრიობის სწორედ იმ უნარს, რაც ყველაზე მეტად გამოარჩევს ადამიანს სხვა ცოცხალი არსებებისგან: სიტყვას. შავი ჭირი, რომელმაც ძალა და ბუნებრიობა დააკარგვინა სიტყვას და ზოგად, უსახურ, ბუნდოვან ფორმულაში დაიფარა, გამოხატველობა დაუბლაგვა, ნაპერწკალი ჩაუქრო. არ ვაპირებ, პოლიტიკაში, იდეოლოგიაში, ბიუროკრატიაში, მასმედიაში ან უხეირო სასკოლო განათლებაში ვეძებო ამ შავი ჭირის გამომწვევი მიზეზები. გამოჯანმრთლებების შანსი უფრო მაინტერესებს. ალბათ მხოლოდ ლიტერატურას შეუძლია იმ ანტისეზულების გამოუმუშავება, რომლებიც ენას შავი ჭირისგან იხსნის. მხოლოდ ენა გადაურჩება სახადს. წარმოსახვაც დასწრებულა. გამოსახულებას აღარ შერჩა შინაგანი დატვირთვა, ფორმა, შინაარსი, სათქმელი, მნიშვნელობა და სიმრავლე. სახეების უმრავლესობა უკვალოდ ქრება მესხიერებიდან და დადარჩება სიცარიელე. ეს უხორცობა, უშინაარსობა არა მხოლოდ ენისა და ფანტაზიის სენია და მისგან თავდაცვის ერთადერთ გზას ვხედავ: ლიტერატურას.“ — წერდა იტალი კალვინო. ჩემთვის ამ ავტორის განსაკუთრებული არა მხოლოდ მის რომანებშია, არამედ ლიტერატურაზე, მხატვრული სიტყვის შინაარსსა და მნიშვნელობაზე მის ნაფიქრებზე, რომელიც არავინას ჰგავს.

— კიდევ თუ გეგმავთ მისი ნაწარმოებების თარგმნას და უახლოეს მომავალში რომელ იტალიელ ავტორებს ვინილავთ ქართულ ენაზე?

— კალვინოსთან დაკავშირებითაც მაქვს გეგმები, თუმცა მათი განხორციელება მარტო ჩემს სურვილზე არაა დამოკიდებული. ვნახთ. ამაჟამად ორ თანამედროვე ქალ ავტორს ვთარგმნი, რაც ძალიან მახარებს. ქალები არ მითარგმნია აქამდე, ერთ-ორი პატარა მოთხრობის გარდა. პირველი ელენა ფერანტეა, ცნობილი ბესტსელერების ავტორი, რომელიც დღემდე ფსევდონიმით იბეჭდება და რომლის ნიგნები მსოფლიოს ღამის ყველა ენაზე ითარგმნა და მილიონობით ტირაჟით იყიდება. მეორე კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თანამედროვე ავტორი, „სტრეგას“ პრემიის მფლობელი, მელანია მაცულკა. მისი ბრწყინვალე რომანი, „ვიტა“, გასული საუკუნის 10-იანი წლების ამერიკაში იტალიური ემიგრაციის თემას ეხება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „ვიტა“ ერთ-ერთი ყველაზე შთაბეჭდილი ნიგნია, რაც კი ოდესმე წამიკითხავს. ძალიან მიხარია, რომ ქართულადაც გამოვა. ეკოს შემდეგ თავს პირობა მივეცი, გარკვეული ხნით სქელტანიან რომანებს ხელს აღარ მოვიკიდებდი, მაგრამ მელანია მაცულკო ნამდვილად იმსახურებს, დავუთმო დრო და ეწერგია.

ესაუბრა ნანა კობახიძე



იტალი კალვინო  
თუ ზამთრის ღამით მოგზაური

მაშინვე სამზარეულოში გარბოდა ყოყლიყოს შესანავად; იქიდან საძინებელში გადიოდა ლოგინის გასასწორებლად. ფანჯარას კი მაშინვე მოაწყებდნენ ხოლმე დაფეთებული ბელურები. დუდა და თომა შორიდან უყურებდნენ მათ ნადიშს. იცოდნენ, ფანჯარასთან ახლოს რომ მისულიყვენენ, ერთიანად წამოიშლებოდნენ საკენკით გამოცოცხლებული, მფრთხალი ჩიტუნები. მერე იხურავდნენ ქუდებს; ბიჭები გაბერილ ქურთუკებს იცვამდნენ, ანაბელი — თბილ და გრძელ მდოგვისფერ მოსაცმელს, ყელზე დიდ მწვანე შარფს იხვევდა და სამივენი ერთად მიდიოდნენ სკოლაში...

მაგრამ ისევ უსასრულოდ გაინელა სევდისამშლელი უთოვლო ზამთარი. თებერვლი ბიჭები უკვე დღეებს თოვლიდან გაზაფხულს დადგომამდე, სწავლობდნენ, ჩხუბობდნენ, დუდა — მასწავლებლების დაუდევრობას, თომა კი მსოფლიო კინოპრემიებს იყო დადარაჯებული. ანაბელი ბეჯითად აყენებდა მაღვიძარას, ალვიძებდა ბიჭებს, აჭმევდა მათაც და ბელურებსაც; დიდი ნითელი სარწყავით რწყავდა კაქტუსებსა და პატარძალს; თომასა და დუდასთან ერთად მიდიოდა სკოლაში; ბრუნდებოდა სახლში, ალაგებდა, ამზადებდა სადილს, აცხობდა ნამცხვრებს; აუთოვებდა შარვლებს, რომლებიც თვალის დახამხამებაში მოკლდებოდნენ ბიჭების აწონილ ფეხებზე და ყოველ საღამოს კითხულობდა წიგნებს ამავე აწონილი ბიჭებისთვის.

ანაბელი სხვა წიგნებსაც კითხულობდა. ბიჭებს რომ ჩაეძინებოდათ, მერე კითხულობდა პოეზიას, რომელიც ჰგავდა მუსიკას. ბიჭებს ეძინათ და ვერ ხედავდნენ, როგორ ბუტბუტებდა მათი დედა და რა უცნაური სიხარული ეხატა ამ დროს სახეზე. დუდასა და თომას არასდროს უნახავთ ანაბელის ეს მეოცნებე, ლივლივა მზერა, სამაგიეროდ, ფიქრობდნენ, რომ დედა რაღაც ჯადოსნურ უნარს ფლობდა — მოესწრო ყველაფერი, მაშინ, როცა თვითონ ფილმის ყურების ან დავალებების წერისას მთელი საღამო თვალის დახამხამებაში გაუფრინდებოდათ ხოლმე.

გაიღვიძეს და თოვდა. მოულოდნელი იყო, როგორც საკონტროლო წერა სემესტრის პირველივე კვირაში. თომა და დუდა ყოყინით შეხვდნენ თოვას, ანაბელს აჩქარებდნენ, რომ დროზე გასულიყვენენ სახლიდან. ბელურები არ ჩანდნენ, მაგრამ გაიჭრიალათ თუ არა ფანჯარამ, თვალის დახამხამებაში მოფრინდნენ საიდნაღაც.

დუდამ და თომამ ერთმანეთს გუნდები დაუშინეს, მერე გაგორდნენ თოვლში. ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ძმები ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს და დუდა ისე ერთობოდა, ჩანთის დასველებაზე აღარ უდარდა.

ანაბელი თოვლში ამოგანგულ ბიჭებს უყურებდა და იცინოდა. მას ქუჩაში მოსიარულე სხვა დედები უყურებდნენ, მაგრამ რომ ჩაველოთ ხელი შვილებისთვის და მოცურების შიშით გაფაცოცებულებს მიჰყავდათ სკოლისკენ. ანაბელს არც ბიჭების სველი შარვლები აშინებდა და არც გაღურჯებამდე წაყინული ხელები. მეტიც — უხაროდა, რომ ადრე გამოვიდნენ და სკოლაშიც მოასწრეს ყველაფერი.

ფეხით მოსიარულეებს ბევრგან გაეტკვნათ თოვლი. სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელებს გაეკვალათ მოხუცის ძარღვებივით დაკლანკილი ბილიკები. ანაბელი, დუდა და თომა ცტოვებდნენ ნაფეხურებს თოვლში. ბიჭებს სიცივისგან აწითლებული ლოყები ჰქონდათ და ანაბელისთვის აქეთიქიდან ჩაეჭინდათ გათოშილი ხელები.

სიცილით მიდიოდნენ. ცა მობურული იყო და მობურულ ცამდე უხაროდათ, რომ თებერვლის ბოლოს მაინც თოვდა. ანაბელს გაკრიალებული ჰაერი აბედნიერებდა. კიდევ ის, რომ ვერაფერზე შეატყობდი, მაგრამ გაზაფხული კარს უკან იდგა...



ანი ბადალაშვილი

ერთი წვიმიანი დღის ამბავი

ჭექა-ქუხილი... წვიმა... ჩემი მწვანე თმა, მუხლებამდე კაბა; კედლები სულ მისველდება და აკანკალებული ახლომდებარე კაფეში შვედივარ...

ონებების მძაფრი სურნელი ასდით... ისეთი სურნელი, რომელსაც მხოლოდ ჩვენ ორნი ვგრძნობთ — რაღაც სასიამოვნოს, ნოსტალგიურს, ბურუსში გახვეულ სურნელს...

განმეორებითი ხუთშაბათი

ყოველ ხუთშაბათ საღამოს, როდესაც სიცივისგან აკანკალებული სახლში დავბრუნდები და შევეღებო თბილ ქუდსა და კაშნუსს, მიუფხვდები სანერ მაგიდას, მოვიმარაგებ ძალიან ბევრ ფურცელსა და კალამს და შენთვის დავინყებ იმ რევეოლუციის აღწერას, რომელიც ჩემში მოახდინე...

ჰანგებზე, რომელზეც ჩემი რევეოლუცია დასრულდა და დამთავრდა.

პასუხი იცი

ვზივარ და გელი... თავზე ჭადრის ხე გადმომყურებს... არ გითქვამს, მოვალე, მაგრამ მე მაინც გიცდი... რატომ? პასუხი შენ ისედაც კარგად იცი... რაც დამტოვე (იქნებ მე დაგტოვე), ვიცოდი, რომ სადმე შემხვდებოდი...

სიცილი კაფეში

ფინჯანში ჩაის ფერს ცხელ, მდულარე წყალს ვასხამ და მაგიდასთან მივდივარ,

რომელიც ოთახის შუაგულში დგას, ზედ კი თეთრი, ორნამენტებიანი სუფრა აფარია. დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდი, საღებავის ლაქები გამექრო, თუმცა — ამაოდ, მერე კი შევეჩვიე და ერთმანეთში არეული ფერები ძალიან მოუხდა ჩემს თეთრ, ორნამენტებიან სუფრას.

ამ ბოლო სიტყვებს ძალიან ბევრჯერ გაიგონებო. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩემი მოგონებებითა და განცდებითაა გაყვნილი. ფუნჯს ვიღებ ხოლმე, რომელიც ჩემმა ძველმა მეგობარმა მარქუა და ხელში მოხვედრილ ნებისმიერ ნივთზე ხატვას ვინყებ. ვხატავ ჩემს მეხსიერებაში ნებისმიერ კადრს — იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს ყოველდღიურობაში არსებობდნენ და არ არსებობენ. შემდეგ, როდესაც ხატვა მზებრდება, ფუნჯს თავის ადგილას ვაბრუნებ, გაციებულ ჩაის ფინჯანს ხელში ვიღებ. ცივი და მწარე სითხის გასინჯვისას ტანში ჟრუანტელი მივლის, შაქრის კუბიკები დამვიწყებია. შემდეგ ფეხზე ვდგები და ხის უკვე საკმაოდ დაძველებული კარადიდან ყუთს ვიღებ. შიგნით უამრავი ფურცელი დევს. ზოგიც დახეულია, მაგრამ სიტყვების ამოკითხვას მაინც შეძლებ.


„რამდენიმე წამი ჩემს თვალს მზერას არ აცილებდა. მას რა ანაღვლებს, თვითონ კი აქვს ლამაზი თვალები, რომლის ფერიც ვერ გამირკვევია, ცისფერია, მოყვითალო თუ სალათისფერი. ალბათ ქაშელისფერის თვალები აქვს“.

მოგონებების ერთ ფურცელს უკან ვაბრუნებ და მეორეს ვიღებ:

„თოვლი იყო მოსული. სიცივისგან გაყინულმა პატარა კაფეს შევაფარეთ თავი. ჩემს წინ დასხდნენ, ხელში სქელყვანიანი ნიგნი ეჭირათ, რომელიც დღეს ვაჩუქე. მე კი თავი მიბრუნებული მქონდა და ფერად ნახატებს ვათვალიერებდი. დამიძახეს და ფინჯანზე მიმანიშნეს, გაცივდაო. იცოდნენ, რომ ცივი ჩაის დაგემოვნების შემდეგ ტანში უსიამოვნოდ მცრიდა ხოლმე. ვუღიმი და რომ არ გადამესხას, ფინჯანს ფრთხილად ვიღებ ხელში. საუბარში მეც ვერთვები. დროდადრო მთელ კაფეში ჩვენი სიცილის ხმა ისმის და დაცვის მრისხანე თვალებს რომ ვხედავთ, პირზე ხელს ვიფარებთ და შემდეგ ისევ ხმადაბალ საუბარს განვაგრძობთ“.

ფურცელს და ყუთს კვლავ უკან ვაბრუნებ და მაგიდასთან მივდივარ. ისევ ვიხსენებ და ისევ მინდება, ის ჩემს წინ იდგეს და უწინდებურად მიყურებდეს; ისევ მინდება, ჩემს წინ ისხდნენ და მასხენებდნენ თითქმის გაციებული ჩაის დალევას.

მაგიდასთან ვზივარ, რომელსაც ორნამენტებიანი თეთრი სუფრა აფარია, კვლავ განვაგრძობ გაციებული ჩაის დალევას და კვლავ სიამოვნებით ვათვალიერებ საღებავის ლაქებს.



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მხარალობით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940 9 772346 1794004